

140/3
1951

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ



ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ

4
1951



პ ი ო ნ ე რ ი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა
№ 4 აპრილი 1951

საბლიტგამი

წელიწადი XXV

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии



მალე დაიწყება გამოცდები

ყოველი მოსწავლისთვის მალე დადგება ყველაზე საპასუხისმგებლო დრო, დრო გამოცდებისა. გამოცდები არის თქვენი ცოდნის შემოწმება, მთელი წლის შრომის შეჯამება, თქვენს მუშაობაზე ანგარიშის ჩაბარება მასწავლებლებისადმი, მშობლებისადმი, მთელი ქვეყნისადმი.

ბევრი მოსწავლე, დღით მოხვევს რა კალენდრის ფურცელს, ფიქრობს: „ერთი დღით კიდევ დაგვიანდებოდა გამოცდები“.

ათასობით მოსწავლე უკვე შეუდგა განვლილი მასალის განმეორებას, თავის ცოდნაში შენიშნული ხარვეზების შევსებას, დავიწყებულის აღდგენას. ბავშვები ერთად იკრიბებიან, რათა ერთად ამოხსნან და გადაწყვიტონ ამოცანები, წაიკითხონ სახელმძღვანელოებში ადრე შესწავლილი ფურცლები.

მაგრამ მოსწავლეები მარტო სახელმძღვანელოებით არ კმაყოფილდებიან. ისინი დადიან ბიბლიოთეკებსა და სამკითხველოებში.

აქ თაროებზე მათ ელოდებათ ასობით ჩუმი მეგობრები—წიგნები, რომლებიც მზად არიან ყოველგვარ კითხვაზე გასცენ პასუხი მათ, ვისაც სურს გაათავსოთ, გააღრმავოს თავისი ცოდნა.

დღე, გაისარჯოს ამ დღეებში ყველა თქვენგანი, ბავშვებო, რათა ხალისიანად და თავის ცოდნაში დარწმუნებული მივიდეს გამოცდებზე.





ვ. ლენინი გიმნაზიელი

ნახატი ნ. შუკოვისა

ვისწავლოთ და ვიწრომით ილიჩისებურად

ნიჭთან ერთად შეუპოვრობასა და გულ-
მოდგინებას, ნებისყოფას, შრომისმოყვარეო-
ბას შეუძლია დადებითად წარმართოს შენი
ცხოვრება. ეს თვისებანი განსაზღვრავენ
შენს მომავალს, შენს ადგილს საზოგადოება-
ში. ეს თვისებანი განსაზღვრავენ, თუ რამდენ-
ნად სსსარგებლო იქნები შენ ხალხისათვის,
სამშობლოსათვის.

ყოველივე ამის უშესანიშნავეს მაგალითს
იძლევა დიდი ლენინისა და დიდი სტალინის
ყრმობის, ჭაბუკობის, მთელი მათი ცხოვრე-
ბის დიადი მაგალითები. შენ უთუოდ გა-
გონდება დახასიათება, რომელიც ვლადიმერ
ულიანოვმა სიმბირსკის გიმნაზიის წარჩინე-
ბით დამთავრებისას მიიღო ოქროს მედალ-
თან ერთად:

„ფრიად ნიჭიერი, მუდამ ბეჯითი და აკუ-
რატი, ულიანოვი ყველა კლასში პირველი
მოწაფე იყო და კურსის დამთავრებისას და-
ჯილდოებულია ოქროს მედლით, როგორც
ყველაზე ღირსეული თავისი აკადემიური
მოსწრებით, განვითარებითა და ყოფაქცე-
ვით“.

შენ თვალუბგაბრწყინებულს წარმოგიდგე-
ბა პატარა სოსო ჯულაშვილის სასკოლო

ილიჩი, გაცემული გორის სასულიერო სას-
წავლებლიდან, რომელზედაც მშობლობის
გულის გასახარად ჩამწკრივებული იყო ხუ-
თიანები.

არც ვალოდია ულიანოვს, არც სოსო
ჯულაშვილს მოწაფეობის პერიოდში არასო-
დეს არ უღალატნიათ თავიანთი მაღალი
იდეალისათვის — ესწავლათ წარჩინებუ-
ლად, რომ შემდეგ ეს სწავლა ხალხის კე-
თილდღეობისათვის, მშრომელთა ბედნიერე-
ბისათვის მოეხმარათ.


და არა მარტო მოწაფეობის პერიოდში,
არამედ მთელი ცხოვრების მანძილზე სწავ-
ლობდნენ ისინი.

ლენინისა და სტალინის დიადი მაგალითი
შენი ცხოვრების გზის მანათობელია, პიო-
ნერო!

იოლი როდია სწავლა, კოდნის შექმნა,
მეცნიერების დაუფლება. მეცნიერებისაკენ
მიმავალი გზა ფართო და იავარდფენილი
არაა. მისკენ მხოლოდ ძნელად სავალი ბი-
ლიკები მიდის.

და თუ თქვენ გაჰყვებით ლენინისა და
სტალინის დიად მაგალითებს — იქნებით
ისეთივე ბეჯითნი და შეუპოვარნი სწავლა-





ში, როგორც ისინი იყვნენ, — მაშინ თქვენ გადასახვეთ ძნელად სავალ ბილიკებს და მიალწევთ მცენიერების მწვერვალებს.

ჩვენი მამა და მასწავლებელი მშობლიური სტალინი გვეუბნება: „გახსოვდეთ, იცოვარდეთ, შეისწავლეთ ილიჩი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბელადი. ებრაძოლეთ მტრებს, შინაურ და გარეშე მტრებს და სძლიეთ ისინი, — ილიჩისებურად. აშენეთ ახალი ცხოვრება, ახალი ყოფა, ახალი კულტურა, — ილიჩისებურად...“

ხოლო ეს რომ შესძლოთ, უნდა ისწავლოთ ისე, როგორც სწავლობდა ლენინი, უნდა იზრომოთ ისე, როგორც შრომობდა ლენინი, უნდა გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა ისე, როგორც ის უყვარდა ლენინს, ისეთი ერთგულნი უნდა იყოთ თქვენი ხალხისა, როგორიც იყო ლენინი.

ლენინი ბუნებით, პატარაობიდანვე, განსაკუთრებული ნიჭით იყო დაჯილდოებული. მაგრამ იგი მოწაფეობისას მარტო ნიჭის იმედით არასოდეს მსუბუქად. ზერეღედ არ მოჰკიდებია გაკვეთილების შესწავლას.

ვალოდია ულიანოვს არასოდეს არ ჰქონია ზიგზაგები სწავლაში. იგი პირველი კლასიდანვე ბეჯითად სწავლობდა, მშობლების გულს სულ ხუთიანებით ახარებდა. თვით უცხო ენებსაც კი — ბერძნულს, გერმანულს, ლათინურს — წარმატებით ეუფლებოდა და ამ საგნებშიც მუდამ ხუთიანები ჰქონდა.


მარტო გაკვეთილების შესწავლით როდი კმაყოფილდებოდა ვალოდია ულიანოვი. ის გატაცებით კითხულობდა წიგნებს. კითხულობდა პუშკინის, ტურგენევის, ნეკრასოვის, ტოლსტოის უკვდავ ნაწარმოებებს. იტაცებდა ჟულ ვერნის, ბიჩერ-სტოუს, ვალტერ

სკოტის რომანები, რომანი „სპარტაკი“, ეწაფებოდა რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, პისარევის ნაწარმოებებს, ავსტრილებობდა და ღრმად სწავლობდა თავის თანამედროვე ცხოვრებას. იგი გულმოდგინედ, ღრმად ეუფლებოდა გერმანულ ენას, რათა ორიგინალში წაეკითხა მარქსის გენიალური წიგნები.

მაგრამ ერთია წაკითხვა, მეორეა წაკითხულის შეთვისება და დამახსოვრება. როგორ იქცეოდა ლენინი ამ შემთხვევაში?


იგი არასოდეს არ კითხულობდა მხოლოდ წაკითხვისათვის, გასართობად, ღრობითი სიამოვნებისათვის, რასაც კარგი წიგნი უბრალო მკითხველს ანიჭებს ხოლმე. ლენინი მნიშვნელოვან მარცვალსაც კი არ ჰკარავდა წაკითხულიდან, ღრმად ითვისებდა და სამუდამოდ იმახსოვრებდა წაკითხულს. როგორ? — აქ ლენინი მარტო თავის მეხსიერებას როდი ეყრდნობოდა, თუმცა განსაკვირვებელი მეხსიერებას პატრონი იყო. იგი კითხულობდა დამახული ყურადღებით. კითხვის დროს სხვაზე არაფერზე არ ფიქრობდა, ღრმად უკვირდებოდა წაკითხულს, შინამწვლევან აღვილებს წიგნში (თუ წიგნი საკუთარი იყო) ფანქრით გახაზავდა ხოლმე და საჭიროების შემთხვევაში არეზე გაიტანდა მოკლე შენიშვნა-განმარტებებს. იგი არ სჯერდებოდა იმ წიგნის ერთბაშე წაკითხვას, რომლის საფუძვლიანად შეთვისება მას საჭიროდ მიაჩნდა, — იგი ამ წიგნს მეორედ კითხულობდა, და ახლა უკვე ყველაფერი ნათელი იყო მისთვის წაკითხულიდან. მაგრამ მისი მოუშობა საჭირო წიგნზე არც ამით ამორწურებოდა: ბეჯითად, გულდასმით ადგენდა კონსპექტს, წერდა წაკითხულის მოკლე შინაარსს.

სიცოცხლითსავსე, მოუსვენარი ბიჭუნა იყო ვალოდია. მას უყვარდა ცურაობა, ჭადრაკის თამაში. მამ როგორ ათავსებდა ვალოდია ულიანოვი თავის მკვირცხლსა და რაუდგომილო ბუნებასთან ბეჯით, შეუპოვარ სწავლას? ამას იგი მტკიცე ნებისყოფით ალწევდა. იგი პატარაობიდანვე ზრდიდა და აწრთობდა თავის თავში ხასიათს. იგი ყველაფერს პირველ რიგში სწავლას, ცოდნის შეძენის ინტერესებს უმორჩილებდა. აი ამის მაგალითი: ვალოდისა ძალიან უყვარდა ციგაობა, მაგრამ როგორც



ოთახი, რომელშიც ცხოვრობდა ვ. ლენინი.

კი შეატყო მუშაობაში ხელს მიშლისო, თავი მიანება მას. ვალოდიას იტაცებდა ჭადრაკის თამაში, მაგრამ რადგან დიდ დროს ართმევდა, ისიც მიატოვა. ლენინმა კარგად იცოდა დროის ფასი. აი რას წერს ლენინის ძმა დიმიტრი ილიას ძე ულიანოვი ვალოდიას დიდი შრომისმოყვარეობისა და აკურატობის შესახებ: „როცა საშინაო დავალებას ღებულობდა, იგი არასოდეს არ წერდა მას ჩაბარების წინდამეს, ნახქარვეად, როგორც ამას ბევრი მისი გიმნაზიელი ამხანაგი აკეთებდა. პირიქით, როგორც კი გამოცხადდებოდა თემა და დაი-



სახლი ქ. ულიანოვსკში, სადაც დაიბადა ვ. ლენინი.

ნიშნებოდა მისი დაწერის ვადა — ჩვეულებრივ ორი კვირა — ვლადიმერ ილიას ძე მაშინვე შეუდგებოდა მუშაობას. იგი ქალაქის მეოთხედზე აღგენდა თხზულების გეგმას შესავალითა და დასკვნით. მერე იღებდა ფურცელ ქალაქის, ჰკეცავდა მას შუაზე სიგრძით და ფურცლის მარცხენა მხარეზე მოხაზავდა შავად, თანახმად შედგენილი გეგმისა. ფურცლის მარჯვენა მხარე, ან ფართო არე რჩებოდა სუფთა, მასზე შემდეგ დღეებში შეჭონდა დამატებები, განმარტებანი, შესწორებანი, აგრეთვე წყაროების დასახელება: ნახე აქ, ესა და ეს გვერდი.

თანდათანობით, დღითიდღე, პირვანდელი შავად ნაწერი ფურცლის მარჯვენა მხარე ჩრეიდებოდა: რიგი ჩანისვნებით, შესწორებებით, წყაროთა დასახელებით და ა. შ. თხზულების ჩაბარების ვადამდე ცოტა ხნით ადრე იგი იღებდა ქალაქის სუფთა ფურცლებს და შავად წერდა მთელ თხზულებას, თან თავისი ჩანისვნების სისწორეს ამოწმებდა წიგნებში, რომლებიც მას ადრევე ჰქონდა მომარაგებული. ახლა მას ისღა რჩებოდა, აელო სუფთა რვეული და მელნით თეთრად გადაეწერა მთლიანად დამუშავებული და გამზადებული თხზულება“.

ლენინმა კარგად იცოდა, რომ კითხვის კულტურა ხელოვნებაა. იგი ღრმად იყო დაუფლებული ამ ხელოვნებას.

წიგნისადმი სიყვარული, ბავშვობიდანვე დაწერგული, ლენინს სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე გაჰყვა...

ასობით წიგნები წაუკითხავს ლენინს ციხეებსა და გადასახლებაში, ხოლო საზღვარგარეთ ემიგრირებულში იგი სარგებლობდა საუკეთესო ბიბლიოთეკებით. ლენინის მეუღლე და მეგობარი ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია თავის მოგონებაში ამბობს: „ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ყოველდღე მეცადინეობდა ბიბლიოთეკაში, დილით 9-დან 12 საათამდე, ხოლო სადილის შემდეგ ხელახლა მიდიოდა ბიბლიოთეკაში და კითხულობდა 6 საათამდე“.

ორგანიზებულობა, სწავლაში შეუპოვრობა, დროის მაქსიმალურად, ნაყოფიერად გამოყენება, ნებისყოფა და ჰასიათის სიმტკიცე — აი, როგორი თვისებები აღზარდა ლენინმა საკუთარ თავში.

დიდ ნიჭთან ერთად სწორედ ამ თვისებებმა მისცა მას საშუალება თავისი სიცოცხლის არც ისე დიდი ხნის მანძილზე მოესწრო ესოდენ მრავალნაყოფიერი, უდიდესი საქმის გაკეთება.

თქვენ ნორჩი ლენინელის სახელს ატარებთ, ეს კი ნიშნავს მიბაძოთ ყველაფერში ლენინს, ისწავლოთ ისე, როგორც ლენინი სწავლობდა — შეუპოვრად, გულმოდგინედ, თანმიმდევრულად, რომ შემდეგ თქვენი ცოდნა მოახმაროთ სამშობლოს, ხალხს.

ასე გვასწავლის ხალხთა დიდი ბელადი, მშობლიური მამა და მასწავლებელი ბრძენი სტალინი.



გაზაფხული

გადმოიქროლეს მერცხლებმა
 კიკიკით ეზო, ხნული.
 — მოვდივართ! მოგვყავს ხალისით
 კრელკაბა გაზაფხული! —
 თბილისიც გახარებული
 შემოეგება ფრთოსნებს.
 — სალამი ნაზ გაზაფხულის
 მახარობლებს და მგოსნებს! —
 გაეთამაშნენ მერცხლები
 თეთრად გაპენტოილ ნუშებს,
 ზღვა სიხარული მოჰფინეს
 თბილის-ქალაქის ქუჩებს.

ჟივილ-ხივილით დაუფრთხეს
 ნორჩ ნერგებს მშვიდი ძილი.
 — თქვენც შეგვიერთდით ზემში,
 დასტკბით თბილისის დილით.
 ფრთა ფრთას შემოჰკრეს მერცხლებმა,
 ლალად გაქროლეს ცაზე.
 — გემატოს, ჩვენო თბილისო,
 ეშხი და სილამაზე:
 გნახეთ და ყველა ჩვენთაგანს
 ღებნით ავესო გული.
 დამშვენდი ისე, ვერ გჯობდეს
 კეკლუცი გაზაფხული!

მელეე კახიძე

პ ა ს უ ხ ი

საყვარელ პოეტს ი. გრიშაშვილს
 მისი ლექსის — „ონავარის“ გამო



ენ გინდოდა ჩემს სიტყვებს ვარდებივით ეხარა...
 გეტყვი, უკვე აღარ ვარ ბაქია და მკეხარა,
 შინ ვარ — წიგნებს ვკითხულობ, აღარ ვბაძავ ნაგაზებს,
 კლასში მერხზე აღარ ვჭრი დღეს უტიფარ ნახაზებს.

ქუჩაში არ ვუცინი ხან გოგონებს, ხან ბიჭებს,
 ცუდად აღარ დავდივარ, წესიერად ვაბიჯებ;
 მარიგებენ, ყურს ვუგდებ, ხელს არ ვიკვრევინები,
 ახლა მუდამ მთელია ჩვენი სკოლის მინები.

ვიცი, რა ეკადრება ჩვენს თაობას, ჩვენს ხანას,
 დიდად ვუზნდი მადლობას დიდ ბელადს და ამხანაგს.
 ვიცი, არ იზადება გმირი მხოლოდ ბრძოლაში,
 ვიცი, გმირი იზრდება აქაც. ჩვენთან სკოლაში.

ონავარი დღეს არ ვარ და ვიქცევი ჰკვიანად,
 ვემსახურო მსურს მამულს წმინდად, ნაპუსიანად.
 ბეჯითი ვარ, და ჩემზე ამბობს ყველა მნახველი:
 — ღირსი არის ატაროს პიონერის სახელი.

ალექსანდრე უჩავა



უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ნორა ხომერიკმა რაზმეული შეკრება და ყველას აჩვენა სკოლის დირექტორის ჯაბო ჯაყელის მიერ რაიონის ცენტრიდან მოტანილი პაკეტი.

— ამ საჩუქარს თქვენ უკრაინიდან გიგზავნიან გენიხესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული სკოლის პიონერები, — თქვა მან და პაკეტს ნაპირი ჩამოაჭრა.

მახარაძის რაიონის სოფელ შრომის საშუალო სკოლის პიონერებს ცნობისმოყვარეობით გაუბრწყინდათ თვალები; მათ მოაგონდათ, რომ გენიხესკის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს და მათ შვილებს ძველი მეგობრობა აკავშირებდათ სოფელ შრომის მეჩაიებთან და მოსწავლეებთან.

პაკეტში ოთხად დაკეცილი ქაღალდი აღმოჩნდა. პიონერხელმძღვანელმა ფრთხილად გაშალა იგი და კედელზე ჩამოკიდა.

ეს იყო გეგმა-პროექტი სტალინის სახელობის კოლმეურნეობის იმ ახალი სოფლისა, რომელიც უკვე ერთი წელია, რაც სადგურ პარტიზანების მახლობლად შენდება.

გენიხესკელ პიონერებს თვითონ გადაეხატათ იგი ფერადი საღებავებით. მარადმწვანე ხეებს შორის თეთრკედლებიანი სახლები ჩაეხატათ. ირგვლივ მოჩანდა თვალუწვდენი ყანები, ქარი აბიბინებდა მომწიფებულ პურს.

შრომელი პიონერები მათ თვალწინ გადაშლილი ამ მდიდარი სანახაობის ხილვით იყვნენ გატაცებული, უფროსი პიონერხელმძღვანელი კი გეგმა-პროექტზე დართულ ბარათს კითხულობდა.

„ძვირფასო მეგობრებო, — იწერებოდნენ გენიხესკელი პიონერები, — მიიღეთ ჩვენგან ეს მცირე საჩუქარი. დაე, მან გითხრათ თქვენ, თუ როგორ ბედნიერ ცხოვრებას ექძხით... რამდენიმე წლის შემდეგ თუ გვეწვევით, ახალ ბინებში დაგზავდებით და გამძასპინძლდებით“.

უფროსმა პიონერხელმძღვანელმა ვარდისფერი ქსოვილით მორთულ მაგიდაზე გაშალა გენიხესკელ პიონერთა ბარათი და წარმოთქვა:

— ხედავთ, ამხანაგებო, გენიხესკში შესანიშნავი ნორჩი მხაზავები და მხატვრები ჰყლიათ; აი რა ჩინებული საჩუქარი გავმზადებიათ და გამოუგზავნიათ ჩვენთვის! ჩვენც უნდა გეყავდეს კარგი ოსტატები, სამაგიერო საჩუქარი რომ მოვუშალოთ და გაეუგზავნოთ ჩვენს უკრაინელ მეგობრებს. კარგად დაფიქრდით ამაზე.

* * *

სოფელ შრომის სკოლის პიონერები დაფიქრდნენ იმაზე, თუ რა გაეგზავნათ უკრაინელებისათვის. ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ საჭიროა ნიჭიერი ნორჩი ამხანაგების გამოვლინება. რაზმეულის კრებებზე დაისწრეს უფროსი ამხანაგები — კომკავშირელები, მოიწვიეს მასწავლებლები. გადაჭრით დააყენეს საკითხი თვითშემოქმედებითი მუშაობის გაშლის შესახებ მოსწავლეთა შორის.

ასე გაჩნდა შრომის საშუალო სკოლაში ნორჩი მხატვრების, მძერწავების წრები. სხვა წრეებმაც გააჩაღეს მუშაობა... აი, დამთავრდა მოსწავლეთა ცოდნის აღ-

რიცხვა, დამთავრდა უკრაინელებისთვის გასაგზავნი საჩუქრების დასამზადებლად გაშლილი შემოქმედებითი მუშაობაც.

აკადემიური წარმატების აღრიცხვით გამოირკვა, რომ სკოლაში გამრავლებულიყო ხუთოსანთა და ოთხოსანთა რიცხვი.

ერთ დღეს პიონერებმა რამდენიმე თვის შეუწელებელი შრომით გაკეთებული ნივთების დათვალიერება მოაწყვეს პიონერთა ოთახში.

პიონერთა ნამუშევრის დასათვალიერებლად მოვიდა ყველა მოსწავლე, მოვიდნენ მასწავლებლებიც, კოლმეურნეებიც. საინტერესო სანახაობა იყო გადაშლილი დათვალიერებელთა თვალწინ. ფართო მაგიდა დაეფარა შექმნილი პიონერების ვ. კვაჭანტარაძის, ი. კორნელიძის, გ. ტარტილოვის ხელით გაშვებულ სოფელ შრომის მაკეტს. მუყაოსაგვან გაკეთებულ მაკეტზე მიძხიდველი ფერებით იყო წარმოდგენილი მალღობები და გზატკეცილები. ელნათურებიანი ბოძები. უხვი და ძვირფასი ხაყოფით ტოტებდამძიმებულ ღიმონისა და მანდარინის ხეებს შორის მოჩანდა მეჩაიე სტახანოველთა ახალი — კეთილმოწყობილი სახლები, ლამაზი ეზო-ჭიშკრები.

ამ ნამუშევრებთან ერთად მაგიდაზე იდო კოლნეკორიან ყდაში ჩასმული მხატვრული ასოებით დაწერილი ბარათი გენიჩესკელი პიონერებისადმი.

„ძვირფასო ამხანაგებო! — ეწერა იქ, — თქვენთან მეგობრობამ ჩვენში ბევრი ნიჭიერი პიონერი გამოავლინა. ახლა ჩვენ გვყავს მხატვრები, მძერწავები, პოეტები, ნორჩი მიჩურინელები და ნატურალისტები. მათ დიდი სიხარულით დაამზადეს და გამოგიგზავნეს თქვენ ეს საჩუქარი“.

გამოფენის დათვალიერებით იყო გატაცებული ყველა, როდესაც პიონერთა ოთახში ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ ორაგველიძე გამოჩნდა.

— აბა, ერთი მაჩვენეთ თქვენი შემოქმედება, — თქვა მან და მაკეტისაკენ წამოვიდა.

თავმჯდომარის ყურადღება მაკეტზე სკოლის ცენტრში გამოქიმულმა შენობამ მიიტაცია. ეს კოლმეურნეობის გამგეობის სახლი იყო. ორაგველიძეს ტკბილად განუხილავდა. შემდეგ თავმჯდომარემ გამგეობის სახლის მარცხნივ მეორე, დიდ ორსართულიან შენობას მიაპყრო თვალი.

— ეს რაღა სახლია? — იკითხა მან გაკვირვებით.

— სკოლა, — იყო პასუხი.

— სკოლა! — გაიკვირვა თავმჯდომარემ, მერე იქით გაიხედა, საიდანაც ეს სიტყვა მოესმა, მაგრამ ვერ გამოიცნო, თუ რომელი იყო მისი მთქმელი ლოყაწითელ გოგონებს შორის.

მაკეტში წარმოდგენილ შენობაზე, რომელსაც კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სასახლე უწოდა, მართლაც მოჩანდა წარწერა „სკოლა“.

ძია მიხაკო გაჩუმდა. „ეს რა მოუგონებიათ ამ ეშმაკის ფეხებს, — იფიქრა მან, — ასეთი სკოლის აგება მე დიდი ხანია განზრახული მაქვს, მაგრამ მშენებლობა ჯერაც არ დამიწყია, მათ კი დამასწრეს; მაკეტში უკვე მოუთავსებიათ ახალი შენობა“. ეს რომ იფიქრა, ღიმილმა გაიელვა მის სახეზე.

— მართლაც ნიჭიერები ყოფილხართ, — მიმართა მან ირგვლივ მყოფ წითელყელსახვევიანებს, — ჩინებული რამეები შეგიტხზავთ. აფსუსიცაა, რომ თქვენ სკოლის კარგი შენობა არ გქონდით... გექნებათ მალე.


რამდენიმე ხნის შემდეგ კოლმეურნეობის გამგეობის სახლის შორიახლო მიწის თხრა დაიწყო: კოლმეურნეობის გამგეობას მტკიცედ გადაეწყვიტა ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება.

მასწავლებლები ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს ამ მუშაობას და აღფრთოვანებულნი ლაპარაკობდნენ:

— ხედავთ, რა ქნეს ჩვენმა პიონერებმა?

— ყველაფერი ჩვენი და უკრაინელი პიონერების მეგობრობამ ქნა, დააჩქარა სკოლის მშენებლობის დაწყება, — უპასუხებდნენ მომღიმარი პიონერები.

ლიმიზი იოვანუილი





საქართველო

ბედნიერი მშობელი ვარ,
ღვაწლმოსილი დედა მქვია,
შვილთა ნაშრომ-ნამოქმედი
მზის სხივივით დამეფრქვია.
გორგასალის ძლიერება
მტრებში შიშის ზარსა რეკდა,
„იალბუხს რომ ფეხი შედგა,
მაღალ მთებმაც იწყეს ღრეკა“.
დავით მეფემ ამაშენა,
ვიწრო ქუჩებს განი მისცა,
ედემ-ბაღად ააყვავა
ნაყოფსავსე ჩემი მიწა.
მე საქვეყნოდ მასახელა
რუსთაველის ჩანგის ჟღერამ,
გრიგალივით გრგვინავს ყველგან
მისი ხმა და მისი ბგერა.
საკადის ხმალის ბრწყინვა
მომავალის იმედს მფენდა,
მტერთან ბრძოლით დაიღუბა,
შემომწირა თავი დედას.

ყველა გმირზე უდიდესი,
მულამ სასახლო შვილი,
სიცოცხლის მზედ ამობრწყინდა
ჩემ კალთიდან ჯულაშვილი.
მწუხრს ბინდიდან გამომტაცა,
მომაშორა ცაზე ნისლი,
მისი ქება და დიდება
მსოფლიოში ყველგან ისმის.
ბერიამ კი მძლე მარჯვენით
დამამშვენა, განმაახლა...
მან იცოცხლოს, იღლეგრძელოს,
ვინც მაშენებს კიდევ ახლა!
სიამაყის გრძნობა მიპყრობს,
გამიტაცეს შორს ფიქრებმა,
პატარებო, ნეტავ თქვენში
სასახლო ვინ იქნება?
მჯერა, მხოლოდ იგი შეძლებს
გამახაროს, განმადიდოს,
ვინაც სწავლობს, ვინაც შრომობს
და უსაქმოდ თავს არ ირთობს.

ნოდარ შამანაძე



მასწავლებელი



1

შუალამე გადავიდა,
სიჩუმეა, სოფელს სძინავს;
ფხიზლობს მხოლოდ ერთი სახლი,
საიდანაც შუქი ბრწყინავს.

ფანჯარაში ყვავილები
შეჭხარიან ღამის ნიავეს,
მათი ჩუმი შარიშური
ფიქრებს აღძრავს ხალისიანს.

ეს მხცოვანი, ღვაწლმოსილი
მასწავლებლის არის სახლი;
ვინც აუვლის,
ვინც ჩაუვლის,
სახლს უღიმის ნათელ სახით.

ახლა, როცა ყველას სძინავს,
ის მარტო ზის მაგიდასთან,
წინ უწყევია მოსწავლეთა
რვეულების მთელი დასტა

და წითელი ფანქრით მისდევს
გიშერივით შავ სტრიქონებს;
ხან უეცრად წარბს შეიკრავს,
ხან ღიმილი აციკროვნებს.

რვეულიდან გულისყურით
ისმენს მწვანე ყანის შრიალს,
ბწკარს ეცემა თითქოს ნამი
და ვარდები კოკორს შლიან;

ნორჩი ხელი ამეტყველებს
ტყე-ველებს და ნაკადულებს...
ამ დროს იგი მეტი გრძნობით
თავს ევლება ბავშვთა გულებს.

ბოლოს კრემლმა, დიდმა კრემლმა
დაუამა ჰიმნით სმენა,
და ხვალინდელ დღეზე ფიქრით
დაწვა, ტკბილად მოისვენა.

2

სისხამ დილით, როცა სერებს
აამღერებს მზე და შრომა,
ფანჯრის მინებს გააბრწყინებს
პირველ სხივის გამოკრთომა,
ზოგს მოუხმობს ველ-მინდორი,
ზოგს ვენახი, ზოგსაც ფერმა,
რომ მარჯვენას ქება უთხრას
ხვალ მამულმა მადლიერმა,—

ისიც დინჯი, თვალნათელი
გაუყვება სოფლის ქუჩას,
თვალს შეავლებს ხოდაბუნებს,
დასასრული რომ არ უჩანს.

ქუდს უხდიან, თავს უკრავენ,
ყველა კრძალვით აძლევს სალამს,
ადიდებენ,
პატივს სცემენ
ცოდნისა და სწავლის ძალას.

ვინ მოთვალოს, რამდენია
 მაღლობელი მისი შრომის:
 ინჟინერი,
 ტექნიკოსი,
 ექიმი თუ აგრონომი...


ვით ცისკარი ცის დასავალს,
 ისე ჰმვენის სკოლა მაღლობს,
 მწვანე ტევრით შემოვლებულს
 გარშემო და შორიანხლოს.

იმის მოსელას, როგორც მუდამ,
 ახლაც მოჰყვა მეტი ლხენა,
 ბავშვთა მეტი სიხარული,
 უფრო მეტი აღმაფერხა.

ის კლასშია, მისი სიტყვა
 აქ კიდევ მეტ ძალას იძენს,
 რომ ეს სიტყვა ხვალ საგმირო
 და ღირსების საქმედ იქცეს!



პარო მნელი



შეიღის გული

ქართლოს ქასრაძე

მხატვარი ა. ბანძელაძე

თურქეთის ბინძური დედაქალაქის ნეს-
 ტიან ქუჩებს წუთით დახედა შუადღის
 მზემ და ისევ ღრუბლებში გაუჩინარდა.
 ფურცკრთალი, გამხდარი ბიჭუნა რაშიდი
 სახედრებს შორის გამოძვრა, შემდეგ გაზე-
 თების დასტა ამოიღო უზარმაზარი ჩანთი-
 დან და ხრინწიანი, ჩახლეჩილი ხმით დაიწ-
 ყო ყვირილი:
 — იყიდეთ გაზეთი! იყიდეთ გაზეთი! წაი-
 კითხეთ სტატია: „თურქეთში ბავშვებს ღი-
 დი ყურადღება ექცევა!“
 ვილაცა მსხვილმა ვაჭარმა ერთი გაზეთი
 გამოსტაცა რაშიდს, ხელში ორიოდ გროში
 ჩაუღო და ქუდი თვალებზე ჩამოაფხატა.
 — „თურქეთში ბავშვებს უდიდესი ყუ-
 რადღება ექცევა!“ იყიდეთ გაზეთი!
 გამვლელს შეეჯახა. ქუდი აიწია წარბე-
 ბიდან, მაგრამ კვლავ ჩამოაფხატა ვილაცამ
 და წიხლი ამოჰკრა.
 რაშიდი კედელს მიენარცხა.
 უნდოდა ეტირა, მაგრამ მისი ყურადღება

გაკავშაშებულმა ვიტრინამ მიიპყრო.
 შიმშილით ანთებული თვალებით ხარ-
 ბად შეაჩერდა ლეღვს, მსხლებს, ნუშს,
 ყურძენსა და ქიშმიშს...
 ვილაცამ კისერში გაჰკრა მუშტი.
 ძუნძულით განაგრძო გზა. გაჩერება არ
 შეიძლებოდა.
 თუ გაჩერდებოდა, აგერ, ის ახმახი პო-
 ლიცეელი რეზინის თეთრი ჯოხით სცემდა...
 — იყიდეთ გაზეთი! წაიკითხეთ სტატია
 „თურქეთში ბავშვებს უდიდესი ყურადღება
 ექცევა!“
 თავისი თავი ებრალებოდა რაშიდს... უბე-
 ლური იყო ის: დედა არ ახსოვდა. მამა გა-
 ლამთიელმა ამერიკელებმა დააპატიმრეს და
 მის შემდეგ თვალთათაც აღარ უნახავს.
 კიდევ წაჰკრეს მუჯლუგუნი რაშიდს...
 დაძინებული სახელოთი მოიწმინდა ცრემლი
 და აკანკალებული ხმით განაგრძო ყვირილი:
 — იყიდეთ გაზეთი! იყიდეთ გაზეთი!
 ორი დღეა არაფერი უჭამია რაშიდს. შეუ-

ლილივით დარბოდა ქალაქის ქუჩებში.
ქუდი მოიხადა და ფული გადათვალა.
რამდენიმე პიასტრი მოეგროვებინა. ეს იყო
და ეს...

მისი ტოლი ალი-ისმეთი დაჰპირდა სალექ
რეზინას, მაგრამ არ მისულა სამჭედლოსთან,
დანიშნულ ადგილს.

ალბათ არ ემეტებოდა სალექი რეზინა!

— იყიდეთ გაზეთი! წაიკითხეთ სტატია:

„თურქეთში ბავ-
შევებს უღიდესი ყუ-
რადლება ექცევა!“

კუთხეში მიგდებუ-
ლი ჭიანი ვაშლი აიღო
და ხარბად ჩაკბინა.

ის იყო ქუჩაზე დაა-
პირა გადასვლა, რომ
გამოქანებულმა მანქა-
ნამ გაჰკრა და ბურთი-
ვით ფაისროლა ას-
ვალტზე.



ფილაქანზე შეყირავებული მანქანის წინა
ბორბალი ჯერ კიდევ ზანტად
ჰაერში...

გროშები ყოველი მიმართულებით გაიბნა.
მსობუქმა ნიავმა მოედანზე გაიტაცა გა-
ზეთები.

პოლიციის შეფმა თეთრი ხელთათმანით
გადაუწია საყელო რაშიდს და ზიზლით
მხრები აიჩეჩა.

რაშიდმა თვალები
აახილა და ძლივს წაი-
ხურჩულა:

— ჩემი ბრალი... არ
არის... ბატონო... მე...
გაზეთებს ვყიდი...
თურქეთში... ბავ-
შევებს...

და გაცოცხლებული თი-
თებიდან ქუდი გაუ-
ვარდა.

ა გ ი ტ ა ტ ო რ ი



ემოსხდომიან მაგიდას ირგვლივ,
უცდიან, გზისკენ უჭირავთ თვალი.
აი, გამოჩნდა კიბეზე იგი
და შემოაღო ღიმილით კარი.
და მაშინ, როცა ვარდივით ბაგე
გახსნა, დაიძრა სიტყვა ნათელი,
თითქოს მოადგა ზაფხული სარკმელს
და შეწყდა ზამთრის კორიანტელი.
ხან გადაშლიდა ჩანიშნულ ფურცელს,
ბრძნული სიტყვები მოჰყავდა წყნარად,

რომ აზრისათვის მიეცა უცებ
მეტი სინათლე და მეტი ძალა.
არ დაუკლია ეშხი და ფერი,
ხატავდა გმირებს სულით და გულით,
ვინც ააყვავა ეს მთა, ეს ველი
დიადი საქმით და სიყვარულით.
აგიტატორის ანთებულ თვალებს
თითქოს სცვივოდა სიტყვები მწველი
და მაღლდებოდა სამშობლო მხარე
უფრო ლამაზი და მიმზიდველი.

პახანგ გორგანელი



დედა-მოკა

პალკინან ნაჭყებია

თქმულება

მხატვარი ბ. შოტანიშვილი

მომტრედისფრო, ლამაზად მოკირწყლული გზატკეცილი შუაზე ჭრის • ნოქალაქევს. ეს კუთხე მომხიბლავია წარმტაცი ბუნებით. ნოქალაქევი, ყოფილი ციხე-გოჯი, ბერძნული სახელწოდებით არქეოპოლისი, დიდხანს იყო ძლიერი ლაზიკის დედაქალაქი. კარგ დღეებთან ერთად მას ბევრი უბედურება გადახდენია. მრავალი საუკუნის წინათ ეს სახელმომხვეცილი ქალაქი მიწის ქვეშ მოყოლია, მაგრამ მისი სიდიადე მაინც დაუვიწყარი დარჩა.

მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ და არქეოლოგიურმა გათხრებმა შუქი მოჰფინა ციხე-ქალაქის საიდუმლოებას. ახლაც მშვენიერი ბუნების წიაღში მრავლადაა გაბნეული ღირსშესანიშნავი ძეგლები, ისინი უტყუარი მოწმენი არიან წარსული დიდებისა და სიძლიერისა.

გზატკეცილი მდინარე ტეხურზე გაკეთებულ ხილთან ოდნავ შემალღდება და შემდეგ სოფელ ბანძას გაპირისპირებულ მტკიცედ ნაგებ „ჯიხას“ გაივლის. ეს სიმაგრე თავისი სათოფურებითა და კოშკებით ირგვლივ მდებარე სოფლების სადარაჯო იყო.

აქ არემარე მხატვრის მადლიანი ყალბით დახატულსა ჰგავს.

მთიდან ლალად მოწყვეტილი მდინარე ტეხური „ვაჰას“ ყიჟინით გიჟურად მოექანება კლდოვან ხეობაში.

გზადაგზა ნაირნაირად იცვლის კილოს ტეხური, ხან ნაზად ჟღერს, ხან კი ბობოქრობს. დაბლობზე გამოსული კეხივით შედგმულ ხილთან წყნარდება და დოვლათიანი ყანები-

თა და ბალ-ვენახებით მოფენილ ჭალებს შორის მიედინება. წარმტაცია მისი დინება, მაგრამ უფრო მომხიბლავია მის ტალღებში მწოლარე „დედა-მოკას“* ამბავი.

გადმოცემაში გარკვევით არაა ნათქვამი, თუ როდის მოხდა დედა-მოკას ტრაგიკული ამბავი.

რამდენიმე საუკუნის წინ თურქთა ლაშქარი შემოესია სამეგრელოს. მტრის ურდო ტეხურის მომჯადოებელ მიდამოსაც მოედო. წვადა და აპარტახებდა სოფლებს, ანგრევდა ციხე-ქალაქებს, ხოცავდა მცხოვრებლებს.

დიდსა თუ პატარას ხელფეხშეკრულებს გზავნიდნენ გასაყიდად შორეულ ქვეყნებში. მოსახლეობა ულმობელ მტერს შეუპოვრად უმაგრდებოდა და ხშირად დიდ ზარალს აყენებდა, მაგრამ ერთი ასის წინააღმდეგ რას გახდებოდა! ბევრი სისხლი დაიღვარა უთანასწორო ბრძოლაში. გადარჩენილთა უმეტესობამ მიუვალ ადგილებს მიაშურა. პატარა რაზმებად გაერთიანებულნი, გაბედული მეთაურების ხელმძღვანელობით ისინი მოულოდნელად თავს ესხმოდნენ თურქებს.

ტეხურისა და გზატკეცილის მახლობლად მდებარე სოფლებმა ყველაზე მეტად განიცადეს თურქთა შემოსევით გამოწვეული საშინელება.

ერთ სოფელში ქოხში ორი ქალი—რძალ-დედამთილი ცხოვრობდა. წინათ ბარაქიანი

* დედა-მოკა მეგრულად ფეხშიმე ქალს ნიშნავს.

და ხალისიანი იყო მათი ოჯახი, ახლა კი, თურქებისაგან აკლებული, მწუხარედ გამოიყურებოდა. ოჯახის დედა ხანში შესული, საშუალოზე მაღალი, მკვრივად ჩასმული მანდილოსანი იყო. მისი წაბლისფერი თვალები ერთსა და იმავე დროს სინაზესაც გამოხატავდნენ და სიმტკიცესაც. მისი გული სათნოებთაც სავსე იყო და შეუპოვრობითაც.

მისმა მეუღლემ ბატონთა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლით ისახელა თავი, შვილმა თურქებთან გმირული ბრძოლით გაითქვა სახელი. შვილი თავისი მცირე რაზმით თურქთა ბანაკებს დასტრიალებდა და მოსვენებას არ აძლევდა. მისი გმირობის ამბავი ქოხიდან ქოხში, სოფლიდან სოფელში გადავიდა. მისი სახელის გაგონებაც კი შიშის ზარს სცემდა თურქებს. გაბოროტებულმა მტრის სარდლობამ ას ოქროდ შეაფასა ქართველი გმირის თავი, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. მოღალატისათვის განკუთვნილი ოქრო უქმად ეწყო, გმირი ვაჟკაცი კი მუსრს ავლებდა მომხდურთ.

ახლგაზრდა ქალი ამ ვაჟის ცოლი იყო. წელიწადი იქნებოდა, რაც ისინი დაქორწინდნენ. ქალი ფეხმძიმედ იყო. ვაჟის დედა განსაკუთრებული მზრუნველობით უვლიდა რძალს. მძიმე სამუშაოდან განთავისუფლებული ჰყავდა, მაგრამ ქალს სხვა სამუშაო და საზრუნავი ჰქონდა: მეომრებს სადილს



მის წინ იარაღში ჩამჯდარი თურქი იდგა.

უმზადებდა, დაჭრილებსა და უმწყო მებრძოლებს ეშვილებოდა.

დედამთილი რძლის ასეთი საქმიანობის სინაზულს განიცდიდა, მაგრამ მიმოზნა, გაბედულ ახლგაზრდა ქალს რაიმე უბედურება არ შემთხვეოდა.

რძალი ყველას ხიფათს მშვიდობით გადაურჩა და დედამთილი დღეებს ითვლიდა, თუ როდის შეეძინებოდა სანატრელი შვილიშვილი.

მტრის მიერ განადგურებულ სოფელში ჰქები ჩაქცეული იყო. სასმელი წყალი ტუხურიდან მოჰქონდა დედამთილს, მაგრამ იგი ლოგინად ჩავარდა, წყლის მომტანი რძლის მეტი არავინ იყო, მას კი ვერ გაუმგებდა წყალზე, ვინაიდან შეიძლებოდა თურქს შეჰყროდა.

მოხუცი გამოსავალს ვერ პოულობდა, ოჯახს კი უწყლოდ გაძლება არ შეეძლო.

— ნანა ბატონო, ნება მომეცი წყალზე წავიდე! — უთხრა რძალმა დედამთილს. ავადმყოფმა სიცხიანი თვალები შემოფოთებით შეანათა რძალს.

— ა? — გაუგებრად წაილულულა მოხუცმა, თუმცა კარგად გაიგო რაც უთხრეს.

— წყალზე წავალ მეთქი, ნანა ბატონო! — გაუმეორა რძალმა.

— მეშინია, შვილო. რაღა ახლა ჩამაგლო ლოგინად ციებამ მე კისერმოსატეხი!

— ნუ გეშინია, ნანა ბატონო. რაღა მაინცდამაინც მე გადამეყრებიან ის წყეულები!

— ჯვარი გწერია, შვილო, ყოველი უბედურებისგან. წყეული დროა, არ იცი, რომელი წუთი რას მოგიტანს!

რძალმა შუბლზე აკოცა დედამთილს, ავადმყოფმა ათრთოლებული ხელი მოხვია და გულზე მიიკრა.

დედამთილმა დალოცა რძალი და მშვიდობით დაბრუნება უსურვა.

რძალმა კოკა მხარზე შეიდგა და ქოხიდან გავიდა.

ქალი გასცილდა ჰიშკარს და ფერდობზე დაეშვა. მის წინ გადაიშალა ომისაგან გაპარტახებული არემარე. კარგა ხანია იგი აქეთ არ ყოფილა. აი, აგერ ჰქების ყორედ ქცეული „ჯიხა“, სადაც მისი ქმარი მცირე რაზმით გაათრეხებით იბრძოდა. ქმრის რაზმი განწირული იყო, რომ ერთგან გვირაბიდან გასასვლელი არ ენახათ. ეს გასასვლელი ლოდის სარქველით იყო დაფარული.

რაზმმა დატოვა ციხე, მტერს ზურგიდან მოუარა, მოულოდნელად თავს დაესხა და მუსრი გაავლო, მერე მთებს მიამუშრა და იქ გაიხიზნა.

ქალს თვალწინ დაუდგა განვლილი ბრძოლა,

გააქრებოდა და უნებლიეთ მიმოიხედა. არავინ იყო. გამეფებულ მყუდროებას მხოლოდ ჭრიჭინობელას გაბძული ჭრიჭინი და მდინარის შხელილი აოღვევდა. ქალმა განაგრძო გზა. აი, უკვე ბილიკზე გავიდა, რომ ამ დროს შეირხა ძუხვას შემობერებული ვაზი და ქალის წინ ვიდაცის ჩრდილი გაწვა. ქალი შეკრთა, მის წინ იარაღში ჩამჯღარი თურქი იდგა.

ქალმა მშვიდად და კდემამოსილად დაიჭირა თავი, შეიძლებოდა გეფიქრათ ნაცნობს შეხედოდა.

ქალის ფარულ შიშს თურქი ვერ ამჩნევდა, ვერ ამჩნევდა იმასაც, რომ მშვენიერ ასულს ბოღმა ახრჩობდა. ძალისათვის ძალის დაპირისპირება ქალს არ შეეძლო, ამიტომ საჭირო იყო ხერხისათვის მიემართა. ქალმა ეს სწრაფად მოიფიქრა.

— წყალზე მიდიხარ, ლამაზო?—ჭკითხა თურქმა.

ქალმა გაიღიმა.

— მომეცი კოკა, მოგეხმარები! — უთხრა თურქმა და ჭურჭლის ჩამორთმევა დაუბირა, მაგრამ ქალმა განზე გაიწია და თურქის ტლანქი ხელი ძირს დაეშვა.

— ნუ სწუხდები, მე თვითონ...—უთხრა გაცბუნებულ თურქს და კვლავ გაიღიმა.

ორივენი ჩუმად მიდიოდნენ მდინარისაკენ, ორივეს საკუთარი ფიქრი და განზრახვა ჰქონდა.

როცა მდინარის ნაპირს მიადგინეს, უცებ თურქი მოუთმენლად მისწვდა ქალს... მაგრამ ქალი მკვირცხლად გაუსხლტა ხელიდან და სილა გააწვანა. სანამ თურქი გამოერკვეოდა, ქალი უკვე გარბოდა მდინარეში გადასავარდნად.

უცებ შეიძრა მიწა, მზე თითქოს ოქროს ცეცხლად იქცა და უფრო ძლიერად ააეღვარა არემარე. შეირხა ნიავე, შექანდა მდინარის ნაპირები და ქალის წინ ელვის სიხვედრით შევიწროვდა განიერი კალაპოტი. მიხვდა განწირული დედა-მოკა, რომ ბუნება შეეშველა, მოწყდა ნაპირიდან და მეორე ნაპირზე გადახტა, მაგრამ თურქიც გადაჰყვა, გადაჰყვა და... ლოდნად ქცეული მდინარეში ჩავარდა. მის პირდაპირ კი ნაპირზე დედა-მოკას გამოსახულება აღიმართა, როგორც გამარჯვებისა და სიწმინდის სიმბოლო.


* * *

ღღესაც ამ ადგილას დედა-მოკასა და ლოდს შორის ტეხური ბობოქრობით მიგელავს, ლოდს ბრაზმორეულ, მრისხანე ტალღებს აძგერებს, ხოლო დედა-მოკას ნაზ და თეთრ შეხედებს აფრქვევს. ხეები კრძალვით გადახრილან დედა-მოკასკენ, ნიავე ყოველთვის თავს დასტრიალებს მას.





შავისნავლოთ დიდი რუსი ხალხის ენა



ჩემო პატარა მკითხველებო! ვიცე, ყველა თქვენგანი ოცნებობს რაც შეიძლება სახელოვანი ადამიანი გამოვიდეს, რათა მთელი თავისი ცოდნა და სიცოცხლე მოახმაროს სამშობლოს, რომელმაც ასეთი ბედნიერი და საამური სიცოცხლე შეგიქმნათ.

ყველა თქვენგანმა ოცნებაში უკვე ამოიჩინა თავისი მომავალი სპეციალობა, — ზოგს ინჟინრობა უნდა, ზოგს ექიმობა, ზოგს მწერლობა და ზოგს კიდევ სხვა... საბოლოოა თქვენი არჩევანი თუ დროთა განმავლობაში შეიცვლება იგი, ერთი რამ უდავოა — ვერც ერთი თქვენგანი ვერ გახდება დიდი სპეციალისტი, თუ საფუძვლიანად არ შეისწავლა რუსული ენა, ენგელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და ყველაზე მდიდარი ცოცხალი ენა“...

რუსულ ენაზე წერდნენ და წერენ სწორუბოვარ ნაწარმოებებს მხატვრული ენის დიდი ოსტატები — პუშკინი, გოგოლი, ლერმონტოვი, ტოლსტოი, ჩეხოვი, გორკი, შოლოხოვი, ფადეევი და სხვები... ამავე ენაზე ესაუბრება მთელ მოწინავე კაცობრიობას დიდი ბელადი მშობლიური სტალინი.

რუსულ ენაზე იწერება უამრავი წიგნი მეცნიერებათა ყველა დარგში, საბჭოთა მეცნიერების ნაშრომები რუსულიდან ითარგმნება მსოფლიოს ყველა ენაზე.

„რუსული ენა ამოუწურავად მდიდარია და განსაცვიფრებელი სისწრაფით სულ უფრო და უფრო მდიდრდება“ — ამბობდა დიდი რუსი მწერალი მაქსიმ გორკი.

იმისთვის, რათა საფუძვლიანად შეისწავლოთ დიდი რუსი ხალხის ენა, საჭიროა ახლავე შეუდგეთ ამ ენის შესწავლას.

გახსოვდეთ, რომ მხოლოდ საკლასო მუშაობით შეუძლებელია რუსული ენის საფუძვლიანად შესწავლა. კლასში მასწავლებელს შეუძლია დააყენოს საკითხი, განმარტოს იგი, მისცეს მითითებანი, თუ რა გზებით უნდა დამუშავდეს დავალება, ბოლოს კონტროლი გაუწიოს დავალების შესრულებას. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ დასაწყისია. მთავარი წინ არის და ეს მთავარი თქვენ მიერ მიღებული დავალების შესრულებისთვის დამოუკიდებელი მუშაობაა. მუდამ უნდა გახსოვდეთ, რომ მხოლოდ დამოუკიდებელი მუშაობითა და უშუალო დაკვირვებით შეძენილი ცოდნა არის ურყევი და სამუდამო.

ენის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს შეიცნო მისი თავისებურება და განსაკუთრებული თვისებები. აუცილებელია ჩაუფიქრდეთ სიტყვის თითოეულ ფორმას, მის მნიშვნელობას არა მარტო მოცემული სიტყვისა და შემთხვევისათვის, არამედ მისი მსგავსი სხვა სიტყვებისა და შემთხვევებისათვისაც, რადგანაც სიტყვები მეტწილად აიგება განსაზღვრული გრამატიკული კატეგორიების მიხედვით, დროის განმავლობაში ენაში ჩამოყალიბებული მზა ნაწილებისაგან, რომლებიც ოდითვე განსაზღვრულ როლს თამაშობენ და სათანადო ფუნქციას ასრულებენ.



მართალია, ასეთი მუშაობა ძნელია, აქ საჭიროა ნებისყოფა და მონდომება, მაგრამ საძაგეროდ დახარჯული შრომა ას წილად აგინაზღაურდებათ. წიგნი, რომელიც ხელმძღვანელობელი იყო, მომზადებული მკითხველის წინაშე მორჩილად გადაძლის თავის ფურცლებში დამალულ საუბრებს და მკითხველის საუკეთესო მეგობარი გახდება.

ენაზე მუშაობის ყველა სახე ძვიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული გრამატიკულ დაკვირვებებთან და მათგან გამომდინარე დასკვნებთან. გრამატიკა ისწავლება ტექსტის პარალელურად. ტექსტში უნდა ვეძიოთ ჩვენთვის უკვე ცნობილი გრამატიკული წესების დადასტურება. წიგნური მეტყველების მიხედვით უნდა გავაფორმოთ აგრეთვე ჩვენი მეტყველება.

ვისაც უნდა რუსული ენის შესწავლა, მან უსათუოდ უნდა იკითხოს რუსული მხატვრული ლიტერატურა. ეს უნდა დაიწყოს ენის მიხედვით შედარებით ადვილი მხატვრული ნაწარმოებებით. მაგალითად, პუშკინის „დუბროვსკით“, „კაპიტანის ქალიშვილით“. ამის შემდეგ ადვილად წაიკითხავთ ლერმონტოვის, ტურგენევის, გოგოლის, ჩეხოვის, გორკისა და სხვათა ნაწარმოებებს. იმ შემთხვევაში, როცა რაიმე გაუგებარია, უნდა მიმართოთ ლექსიკონს. სასარგებლოა პირველ ხანებში ხმაშალა კითხვა, მეტყველების ორგანოები სიტყვის გამოთქმას ეჩვევა, ყური კი — მათ ხმოვან აღქმას.

თქვენი, მოზარდი თაობის, თქვენი და მთელი მსოფლიოს პატიოსანი აღაძვანების მზრუნველი და მასწავლებელი სტალინი სასკოლო მერხიდახვე გულმოდგინედ ეუფლებოდა რუსულ ენას, ენას, რომელზედაც წერდა ლენინი. „აი, მე რომ მკითხოხ, თუ ვინ იცის ყველაზე უკეთ რუსული ენა, მე ვუპასუხებდი—სტალინიმ“, ამბობდა მ. კალინინი, და თქვენ ხომ ყველას გინდათ მიჰბამოთ ჩვენი დიდი მასწავლებლის მაგალითს. თქვენ ხომ ძუღამ ოცნებობთ სიმამაცითა და გმირობით უპასუხობთ მის უსაზღვრო ზრუნვას. „მოსწავლის სიმამაცე და გმირობა ფრიალზე სწავლააო“ — გვასწავლის ამხანაგი ლ. ბერია.

მაშ, ბეჯითად და საფუძვლიანად შევისწავლოთ რუსული ენა, ჩვენი დიდი სამძობლოს ხალხების ინტერნაციონალური ენა, რუსული ენა სოციალისტური კულტურის განვითარების მძლავრი იარაღი. გახდა არა მარტო რუსი ხალხისთვის, არამედ ჩვენი კავშირის ყველა ერისათვის. ამ ჩვენი სამძობლოს ინტერნაციონალურ ენას, მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე კულტურულ ენას უნდა დაეუფლოს ჩვენი ახალგაზრდობა. ჩვენი ნიჭიერი პიონერ-მოსწავლეები შესძლებენ ამ ამოცანის შესრულებას და ჭეჭიხდა წარმატება გისურვოთ ამ საქმეში, ჩემო პატარა მეგობრებო!

პროფესორი **ლ. მგელაძე**



როგორ ვეუფლები რუსულ ენას

მე სწავლის ხუთოსანი ვარ. სხვა საგნებთან ერთად სიყვარულითა და განსაკუთრებული მონდომებით ვსწავლობ დიდი რუსი ხალხის ენას. ყოველთვის გულდასმით ვუსმენ კლასში მასწავლებლის მიერ წარმოთქმულ ყოველ ახალ სიტყვას, შინ ვაკვეთილი მომზადების დროს ვცდილობ მექანიკურად არ დავიზებარო არც ერთი სიტყვა. ამისათვის ვიშველიებ ლექსიკონს, ჩემთვის გაუგებარ სიტყვებს ცალკე რეჟულში ვაწერ, აქვე ვწერ ამ სიტყვების ახსნას. როდესაც ტექსტში არც ერთი გაუგებარი სიტყვა აღარ მხვდება, ტექსტს შესწავლაც ვაცილებით უფრო მიაღვივლებ. ჩაბმული ვარ სკოლაში ჩამოყალიბებულ რუსული ლიტერატურის წრეში. მიმდინარე სასწავლო წელს წრის სხდომაზე წავიკითხე მოხსენება თემაზე „ა. პუშკინი და ლიცეუმი“.

ვეწაფები კლასგარეშე ლიტერატურას. უკვე წავიკითხე პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, გორკის, გაიდარის, მიხალკოვის ნაწარმოებები. ახლა, ამხანაგებთან ერთად, ვემზადები გამოცდების ჩასაბარებლად, ხოლო გამოცდების დამთავრების შემდეგ კიდევ მეტი ხალისით მოვიკიდებ ხელს საყვარელი წიგნების კითხვას. განზრახული მაქვს წავიკითხო რუსულ ენაზე ტოლსტოის „ხაჯი მურატი“, „ყუზნახები“, ნ. ოსტროვსკის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, ფადეევის „ახალგაზრდა გვარია“ და სხვა.

ნათელა ეზრალიძე

თბილისის ქალთა 44-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე

საყურადღებო გამოფენა




შემდეგი მოვლეს მაკაბები წარმო-
ბო საკუთარი ლექსები კვლის გახუთი
საკვლისი თბილისი პიონერის სახე-
ლს ეს გამოფენა საბჭოთა სწავლულ
ვაიციები ამ გამოფენის რამდენიმე

ფაიფისა და კრძალების წილეთ-
ფორფორები ამგვარებენ ლ. ბერიას
იმეველია წინწერების გამოფენა
30 წლის თვის მიწველენ
პრობირის ფორტსტრასის.

ეს სახელმწიფო პიონერი გვიგონ-
რობას მოქალაქე ჯერალ ჯავახიძემ
გამოიჭრა. იგი მსახველია ვანაკუთრე-
ბულ ურადლებას იყვროს, აქვე მისი
„უფროსი ქადაგება“.

სურათი იქვენ ხედავი თერნიტე-
სართულან საცხოვრებელ სახლს ეს
მაკეტი პიონერებმა დაიწყადეს სახაბლს
სამეტრო აბინტეში.




დიდ მიწინარე ლიონის ხილია
გადაქმნილი მასზე სწავლული მატე-
რიალური დამკრან. ქვეთი კი მიწინარეში
დინჯად მიუტრიავენ მალანმინის ვეშე-
ბი. აი, ვეში ხილს მოვალეობა და ხილი
ავტობატორად ზვეთი თამბაქო, ვა
დაუთმო ვეშს. ვეშმა თანასულად გაქრა
მიწინარე ხილს ქვეშ და ხილი კვლავ
დაბლა დაუშვა. ეს ჩასაფქი კარგად
განმარტობს სახაბლს საგანკლო
საბჭოლის მიწველებას იქვენ ხე-
დავი, როგორი ინტერესები თუდაფრე-
ბენ პიონერები ასწევი ხილს მოქმედ
მოვლეს.

გვ


— წითლ შარალა ფრენა შეუძლიათ
ამ სიფრიდან მიდებებს? — გვეყარ-
ვეთი ციკლიონ ტრიბიტურეს გამოფენ-
ის დასოვალეუტეულ მოსული პიონ-
ერებში.

— რა თქმა უნდა, შეუძლიათ. — მიწ-
ვებს მოვლეს ხილია ავტორი გვე-
ლითმა და იქვე მათ თუდაფრენ პაქში
აუშვებს თეოფორანეის პეტრა ხილი-
ბი მოვლეს ეს მოვლელი მოვლოდ მან
გარან იქონის და სამი წუთის განმავლ-
ნაში ფრენს რისიმე? აქუნის ძრავის შე-
ვეობითი აქვე კარგად მოველი, რომე-
ვად სათაში და კოლომეტარ საქმარეს
ავითარებს.




„უბლებს ტრანსპორტის სახეები
მოიჭირან ადვალტებს! — ამგვარად
რობას ავტობუსებს თუდს რილდ მო-
ქმინა მოვლეს პეტრა მატერიალური
მიწინარეებს ჩულებზე. შეიჭრება ვე-
რანში, კვლავ გამოიწვდება, ვადსაბეს
ხილს, კვლავ მიუტრიავენ ვეირაბს, მო-
ვალეობას საფურს და ჩერდება. სად-
ვერტიდან მესაყრები მოიჭე ვაშეხებელი
სარტორიონისკენ მოიჭრას კიბი —
ესაუღბობით — მიწინარეებთან. მიიდან
მოიჭე ვადსასულად კი დასხვერბე-
ლები საბაგირი ვხილს საჩვებლოებზე.
დასწერე პიონერებს. უფროდობით
ადვენებენ თუდს მატერიალურს, მოიჭრავი
კიბის და საბაგირი ვხს ტრადიტორულ
მოქმედებას.

გამოფენის ერთ კუთხეში „ჯადოს-
ნურ მაგიდაზე“ თუნუქის ცარიელი ვე-
რი დგას. აველის უფროსი. რა უნდა
ამ უბრალო ვედიოს აქ, გამოიწვინო?“
მაგრამ მაგვებში მოუხლოდენ „ჯადო-
ნური მაგიდას“ და ის საყვარელი ამხა-
ვი... მათ დასწავი შეუბრძნით. ლამაზ-
კობდა მისი სახედალი ჩაბინებების
არამედ. ვედიო პიონერებებს დათავი-
ტრეს მაგიდა. შეამოქმენ ვედიოც. მაგ-
რამ მიღების ნახაბო ვერხად ისოვენ
„ჯადოსნური მაგიდას“ საიდუმლოებს
იქვენ ვაიფები პიონერთა სახაბლს ჩა-
დაიკაბინებენ.



ფორტო რ. პარფომოვიან
ტექსტი ილიანი ანალიზის



მტკვრის სათავესკენ



მობრობა*

მაგრამ მერცხალა არც ისე ახლოს იყო ბედნიერებასთან, როგორც მან განთავისუფლების პირველ წუთებში წარმოიდგინა.

იგი დიდი ხნის უგზოუკვლო ხეტიალის შემდეგ მიიღწევს მტკვრის შესართავს და მშობლიური დარანისკენ გულის თრთოლვით გაეშურება. დარანში მერცხალას არაფერი დახვდება. გულდაწყვეტილი მერცხალა უშიშას ქარაუნის მოძებნას გადაწყვეტს და მტკვარს პირშელმა შეჰყვება.

ვზაში მერცხალას უზარმაზარი მტაცებელი თევზი აედევნება. უეჭველი დაღუპვისაგან მას გადაარჩენს მოულოდნელად გამოჩენილი მორბედა. თავგანწირულ ბრძოლაში მორბედს მეორე თვალიც დაუზიანდება და სამუდამოდ ბრძავედება. ამ ბრძოლის შემდეგ მერცხალა ჭაჭყინას და წინწყალასაც მოძებნის და ოთხივე კალმახი მტკვრის სათავესაკენ მიეშურება.

* * *

კალმახებმა კარგახანს იმოგზაურეს, მაგრამ უშიშას კვალს ვერსად წააწყდნენ. რაც უფრო სცილდებოდნენ საქართველოს საზღვარს, ბუნების სურათები უფრო ღარიბი და უსახური ხდებოდა.

აქეთ მტკვარი ისეთი ანკარა, ჩქარი და გამჭვირვალე იყო, რომ მერცხალამ უნებურად ცქვიტად შეინაგარდა და გარემოს თვალიერება დაუწყო, თითქოს უნდოდა მისი მშვენიერებით დამტკბარიყო. მაგრამ სად ეს

გიორგი შავგარაშვილი

მხატვარი ბ. რკინიშვილი

და სად ის ხეობა? მთვარე ნისლში მიმალულყო, უცნობ ხეობას მოწყენილი და პირქუში იერი დასდებოდა. მდინარეს ნაპირები უდაბური და ხრიოკი ჰქონდა. არსად ხე, არსად ზურმუხტოვანი ქალები და ბუჩქნარი. ხეობაში აყუდებულ მთებს და ძველთაძველ ციხის ნანგრევებს თითქოს თავბირი ჩამოსტიროდათ, დაფიქრებულნი და მგლოვიარენი დაჰყურებდნენ ხევში ჩამოცურებულ უზარმაზარ ლოდებს.

ხეობა თანდათან ვიწროვდებოდა. ვიწროვდებოდა და პატარავდებოდა მტკვარიც. ჩვენი მოგზაურები ერთმანეთს ეკვროდნენ და პირშელმა უხმოდ მიცურავდნენ.

ბოლოს, როდესაც ხეობა ოდნავ გაფართოვდა და მთვარეშაც გამოაშუქა, მერცხალა მოულოდნელად ძობრუნდა და ქარავანი შეაჩერა:

— დაუგდეთ ყური, — თქვა მან ჩურჩულით, — დაუგდეთ ყური, როგორ მღერიან ამ ხეობაში!

მართლაც, საიდანაც შორეული ნაპირიდან გაურკვეველი სიმღერა მოისმა. მაგრამ ეს სიმღერა არ იყო. ეს იყო გულსაკლავი და ქრუანტელის მომგვრელი სევდიანი მოთქმა. ვიღაც თავის უკუღმართ ბედს უჩიოდა ამ გაბმული სიმღერით. ეს სიმღერა კვნესას უფრო ჰგავდა, ვიდრე სიმღერას.

— განა ასე მღერიან ადამიანები იქ, საქართველოში? — თქვა მერცხალამ, კალმახებს გადახედა და ისევ დააყურა.

სიმღერა ახლოვდებოდა და რაც უფრო ახლო გაისმოდა, მით უფრო გულსაკლავი, მით უფრო ნაღვლიანი გრძობების აღმძვრელი ხდებოდა.

კალმახები შეჩერდნენ.

— აქეთ ბევრჯერ ვყოფილვარ და ყოველთვის ეს მწუხარე სიმღერა გამოიგონია. აქ უბედური ხალხი ცხოვრობს, აქ მხოლოდ

* დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურ. „ბიონერის“ № 1, № 2, № 3-ში.

ბოროტი და ტანჯული ადამიანების სახეები დამინახავს... მხიარულ კაცს აქ ვერ დაინახავთ.

კალმახები განცვიფრებულნი შეჰყურებდნენ მორბელას, რომელმაც ეს სიტყვები ამოიხვეწა წარმოთქვა. მხოლოდ მერცხალამ იცოდა მიზეზი სევდიანი სიმღერისა. მას წელანვე გაახსენდა ხერთვისის პიონერთა ბანაკში გატარებული დამე, საუბარი საქართველოს ძველ მიწა-წყალზე, გაიხსენა ბენდიერი ბავშვების მხიარული სიმღერები და მათი გაბრწყინებული სახეები...

„აი, რას ნიშნავს თურმე თავისუფლება, აი, როგორ მღერის დაჩაგრული ადამიანი“.

— ფიქრობდა მერცხალა.

ქართველი მწყემსები

ჩვენი ქარავენი ღამის გასათევად დაბანაკდა.

მაღე მთვარემ შეიმაღლა და მდინარის მეორე ნაპირი გააშუქა. კლდიდან ჩამოვარებულ უხარმახარ ლოდზე ორი მწყემსი იჯდა. მოხუცი მწყემსი მის მუხლებზე თავმიყრდნობილ პატარა ბიჭუნას თვალბეჭდში ჩასცქეროდა და ოხვრით რაღაცას უამბობდა.

მერცხალამ ლოდზე მსხდომნი დაინახა და მდინარის ნაპირისაკენ ფრთხილად გაეცურა. შემკრთალი წინწყალა და ჭიჭყინა შეჩერდნენ და მორბელაც შეაჩერეს.

— ახლოს მივიდეთ, — დაამშვიდა მერცხალამ შეშინებული კალმახები. ეს მწყემსები ჩვენივენი საშიში არ არიან!

მაღე მერცხალა და ჩვენი კალმახები იმ ლოდის ახლოს მისრიალდნენ, რომელზეც მწყემსები ისხდნენ.

მთვარის შუქზე ნათლად მოჩანდა მოხუცის თეთრი თმა-წვერი, ბიჭუნას ღამაზი სახე და ელვარე თვალები, რომლებიც ვარსკვლავებით მოჭედოდა ცას შეჰყურებდნენ.

— მერე, მერე? — გაისმა ბიჭუნას ხმა.

მოხუცი ერთხანს დუმდა, თითქოს ლაპარაკი უმძიმდა.

— ეჰ, შვილო, რაღა გითხრა, მას შემდეგ, რაც საქართველოს მოგწვევიტეს, ყველაფერი წახდა, დაიქცა! განა ასეთი იყო ეს ხეობა? მტერმა აკაფა ჩვენი ვენახები, გაკაფა ბაღები და დიდებული ტყეები, დაანგრია ჩვენი ციხე-კოშკები, გაწყვიტა ხალხი, წაგვიბილწა ენა... დაგვიძინა...

— ხედავ? — შეეკითხა მერცხალა მორბელას და თვალებში ჩახედა.

— ვერ ვხედავ, მაგრამ მესმის, ყველაფერი მესმის! — სევდიანად უპასუხა მორბელამ.

— როდემდის, პაპა, როდემდის?

ჩურჩულებდა ბიჭუნა და ცრემლმორთული შეჰყურებდა აღელვებულ მოხუცს.

— ძაღე, შვილო, ძაღე! შენ ბენდიერის დროს დაიბადე, ყველაფერს მოესწრებოდა.

— ეჰ, პაპაჩემო, ერთი თურქების ამომყარა და მეტი არაფერი ძინდა! — წამოიძახა ბიჭუნამ და ოცნებით სავსე თვალები მთვარეს გაუშტერა.

ბოროტი თვადები

გათენდა.

კალმახები უკვე მტკვრის ტალღებში ჩამვრთულ მზის სხივებს ეთამამებოდნენ, დასთივლებდნენ და საზარდოს დაეძებდნენ.

ნაპირიდან სალამურის ხმა ისმოდა. სალამურს მწყემსი ბიჭი უქრავდა, რომელიც ისევ იმ ადგილას იჯდა და ჭალაში გამლილ ცხვრის ფარას უთვალთვალვებდა. უხარმახარ კომბალს დაყრდნობილი მოხუცი მწყემსი ცხვრის ფარას მეორე მხრიდან ამოსდგომოდა და ჩაფიქრებული უსმენდა სალამურის ხმას.

„შორს, ხრიოკი კლდის ფერდობზე, პატარა სოფელი მოჩანდა. ღარიბი, მიწური შენობები ხანგრძობებს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანთა საცხოვრებელს. მოისმოდა ძაღლის ყეფა, მამლის ყვილი და სამუშაოდ მიძავალი გლეხების ძახილი.“

მერცხალა მთელი დღის განმავლობაში შორიდან ათვალთვალვებდა სალამურის დაკვირვით გართულ ბიჭუნას. ბიჭუნას ჭკვიანხი, სევდიანი თვალები და გამხდარი სახე ჰქონდა. იგი საოცრად ჰგავდა მერცხალას მხსნელ წითელყელსახვევიან ბიჭს.

„ძმებავით გვანან ერთმანეთს“, — ფიქრობდა მერცხალა. მაგრამ რა დიდი განსხვავება იყო ამ ორი ყმაწვილის სახის გამომეტყველებაში. ხერთვისელი პიონერის სიცოცხლით სავსე, მხიარული და კმაყოფილი გამოხედვა გაიხსენა მერცხალამ და ამ უცნობი ბიჭისადმი სიბრალულით აეცსო გული.

უცებ ბიჭმა სალამურის დაკვირა შეწყვიტა და სმენად ქცეული ერთ წერტილს დააეჭერა. სოფლიდან წივილ-კივილის ხმა მოისმოდა. ბიჭმა შეშფოთებით გახედა მოხუცს და გასძახა:

— პაპა, სოფელში რაღაც უბედურება ტრიალებს, გესმის?

მოხუცმა სმენა დაძაბა, თვალებზე ხელი მოიხრდილა და სოფელს გახედა.

მდინარისკენ მომავალ გზაზე ვიღაც გამოჩნდა. იგი სწრაფად მორბოდა. მაღე მწყემსებთან პატარა ბიჭმა მოიბრინა.

— რა ამბავია, პასან? — შესძახეს ერთხმად მწყემსებმა.

— ჩქარა ცხვარი დამალეთ სადმე, გადასა-

ხადებს აგროვებენ... სოფელში რომ ვერაფერი იშოვებს, ახლა აქეთ მოდიან! — სხაპასხუპით წამოიძახა ბიჭმა.

პატარა ბიჭს, რომელსაც პასანა უწოდეს, მოქაბტული სახე და ხამტირალევი თვალები ჰქონდა.

— მერე, შენ რაღად სტორი, პასან, შენ ხომ თურქი ხარ, განა თქვენც შეგაწუხებს? — გუეკითხა პატარა მწყემსი.

პასანს მწარედ გაეღიმა.

— განა ის ავაზაკები ერთმანეთისაგან არჩევენ თურქსა და ქართველს? ოღონდ რამე იძიონ, ოღონდ... აგერ, ჩვენს სახლს ცეცხლი წაუკიდეს, ძამას ბორკილი დაადგეს ურჩობისათვის! — გულამოსკვნით წამოიძახა მან, უმაღვე ბუჩქნარისაკენ გაიქცა და მიიძალა.

მოხუცი მწყემსი შემფოთებული გაჰყურებდა სოფლიდან მომავალ გზას. ეტყობოდა, ყოყმანობდა, არ იცოდა რა ელონა. მან ერთი ამოიგმინა და ცხვარს შემოურბინა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

გზაზე ძტვერი ავარდა, გაისმა ცხენების ფეხის ხმა და მალე რამდენიმე ფაფარგაშლილი ცხენიც გამოჩნდა. ამ ცხენებზე მხარზე თოფგადადებული თურქები ისხდნენ, ხმა-მალა რაღაცას გაჰკიოდნენ და მათრახების ქნივით მოქროდნენ.

მოხუცმა კომბალი ხელში დაბლუჯა და ცხვრის ფარას გვერდით ამოუდგა, თითქოს მის დასაცავად ემზადებო, თან რისხვით ბურტყუნებდა:

— წყეულები, ურჯულოები... უკანასკნელ საზრდოსაც გვტაცებენ!

მოწინავე მხედარმა გაოფლიანებული ცხენი მოხუცს ზედ მიაგდო, სადავეს მოსწია და დაიღრილა:

— აბა, ბებერო, გამორეკე ცხვარი!

მოხუცი გაუნძრევლად იდგა და პირქუშად შეჰყურებდა მხედარს. მხედარს ნაყვავილარი, ჩაშავებული სახე და ბეწვით სავსე ნესტოები მოუთმენლობისაგან უფროთოდა, წვრილი, ბორბოტი თვალებით დაჰყურებდა მწყემსს, რომელიც პასუხს აგვიანებდა.

— მერე, ხალხს რა პასუხი გაცე? — ყრუ ხმით იკითხა მოხუცმა.

თურქმა მხედარმა ზიზლით გაიხედა სოფლისაკენ და ხელში მათრახი შეათამაშა.

— ხალხმა უკვე მიიღო პასუხი... აი, აბი: მან ყურთან გაუტკაცუნა მათრახი მტუცს.

— აბა, ბებერო გურჯო, ნუ აგვიანებს, თორემ...

— ვერა, ბატონო ჩემო, ცოცხალი თავით ვერ დაგანებებ, ცხვარი ხალხისაა, მე ჩამაბარეს.

გაისმა მათრახის საშინელი შხუილი. მოხუცს ტკივილისა და მრისხანებისაგან სახე დაემანჭა. მან უკან დაიხია და მძიმე კომბალი მალა აღმართა. წამიც — და იგი თავს გაუპობდა ჩოფურა მხედარს, მაგრამ მას გვერდიდან მეორე მხედარი ცხენით დაეჯახა და გადათელა.

მოხუცი გულაღმა დაეცა მდინარის პირას. მწყემსმა ბიჭუნამ დაიკვივლა, თვალები დახუჭა და სახეზე ხელი აიფარა. როცა მან თვალები გაახილა, დაინახა, რომ პაპამისს თურქები თასმით ხელებს უკრავდნენ, თან მათრახით სცემდნენ.

თვალცრემლიანმა ბიჭმა მხედრებს მუხლებზე დაუჩოქა და ქვითინით შეევედრა:

— ნუ მომტაცებთ, ნუ მომიკლავთ პაპას, მაგის მეტი არავინ მყავს, ნუ მომიკლავთ,



ბიჭი ხალვლიანად უკრავდა სალამურს



მთებში გაჩენილი პატარა ნიაღვრები ნალარავებში ხმაურით მიქროდნენ, ერთმანეთს უერთდებოდნენ და ადიღებულ მტკვარს ქუხილით აწყდებოდნენ.

შეწუხებული კალმახები ლოდებქვეშ იმალებოდნენ, ერთმანეთს ეკვროდნენ და მხოლოდ იშვიათად ბედავდნენ დარნიდან თავის გამოყოფას, ისიც მამინ, როცა მცირე ხნით მზე გამოაშუქებდა ტყვისფრად დამძიმებული ღრუბლებიდან.

პირქუში მიდამო უარესად დანისლულიყო, სევდიანი იერი დასდებოდა და ჩვენი მოგზაურების გულს ლოდივით დასწოლოდა.

მხოლოდ მეოთხე დღეს გამოიღარა.

ამ დღით მზემ კვლავ ცხოველყოფელი სხივები მოჰფინა ნაწვიმარ დეღამიწას. ბუნებამ პირქუში შუბლი გაიხსნა და მზეს თვალებში შესცინა.

მტკვარი მალე დაიწმინდა და თავისი ჩვეულებრივი კამკამა ფერი დაიბრუნა.

კალმახებმაც შეინავარდეს, სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდათ. ადიღებული მდინარის მღვრიე ტალღებთან სამი დღის ბრძოლას მერცხალა, წინწკალა და ჭიჭყინა დაევაჟაკებინა, მათ თვალებს ძალა და ცეცხლი მომატებოდა, მომაგრებული ფარფლებით ხალისიანად მიაპობდნენ მღელვარე ტალღებს.

ისინი გარს შემორტყმოდნენ დასუსტებულ მორბედას, ქვიშით ავსებულ ჩამქრალ თვალებში სიბრაღულით ჩასცქეროდნენ და ამხნევებდნენ.

— მე ვგრძნობ, რომ მზე აშუქებს და მიხარია თქვენთან ყოფნა, ესეც ხომ დიდი ბედნიერებაა ჩემთვის! — ამბობდა ცრემლმორეული მორბედა.

— ხერთვისისაკენ, ხერთვისისაკენ! — დილას აქეთ განუწყვეტლივ იმეორებდა მერცხალა და თავის პატარა ქარავანს ახლა თავდაღმა მიუძლოდა.

იგი დარწმუნებული იყო, რომ მართლაც ხერთვისთან შეხვდებოდა უშიშას მრავალრიცხოვან ქარავანს. რადგან მტკვრის სათავეში გერსად წააწყდა მათ კვალს, ისევე თავქვე უნდა გაემუროს ხერთვისისაკენ.

ო, რამდენ რამეს ეტყვის უშიშას, განა შეიძლება დაავიწყდეს ის, რაც მან ამ დღეებში განიცადა, რაც მას თავს გადახდა?

ეტყვის, ყველაფერს უამბობს.

უამბობს ბანაკში თავისი ტყვეობისა და განთავისუფლების ამბავს, უამბობს მტკვრის სათავეში ნახულსა და გაგონილს. დაჩაგრული მწყემსების ამბავს რა დაავიწყებს! შევევდრება უშიშას, რომ როგორმე ხერთვისის ბანაკში თავისუფალ ბავშვებსაც გააგებინოს

მტკვრის სათავეში მცხოვრები მათი დაჩაგრული ძმების ამბავი.

შესძლებს უშიშა, ყველაფერს განა მას ამ ქვეყანაზე რამე გაუგებრობა — ასე ფიქრობდა მერცხალა და თავისი ქარავნით რაც უფრო უახლოვდებოდა ნაცნობ ადგილებს, მით უფრო მეტი ხალისით ევსებოდა გული, თითქოს სულშეხუთული საპატრონიდან გამოდიოდა.

აი, მზით გაშუქებული ნაცნობი ქალები, ახლად დასახლებული სოფლები, ვენახები, შავად გადახული მინდვრები და ამწვანებული ჯეჯილები.

ყველაგან შრომის ფერხულია გაჩაღებული. ისმის ხალისიანი სიმღერა, ტრაქტორების გუგუნო, ბავშვების ყრიაშული.

აი, მარცხნივ ისევ გაიელვა დიდებულმა ვარძიამ და კლდეზე გადმომდგარმა თმოგვის ამაყმა ციხემ.

მალე ნაცნობი ვერხვიც გამოჩნდა.

* * *

თევზები ღარანში მივიდნენ. აქ მათ ლაყუჩა დახვდათ. ლაყუჩა ვერ იცნობს მოსულებს, მაგრამ მალე გამოერკვევა და ძლიერ გაახარებს მერცხალას დანახვა. უშიშას მოსაყვანად წასვლას დააპირებს, მაგრამ მერცხალა დაასწრებს და მიდის უშიშას მოსაძებნად.

ისევ უშიშას მკერდზე

დიდხანს არ დასჭირებიათ ლოდინი კალმახებს. მალე უშიშას უზარმაზარი ქარავანიც გამოჩნდა. ქარავანს წინ თვალებგაბრწყინებული უშიშა და ბედნიერი მერცხალა მოუძლოდნენ.

მოდიოდა ქარავანი და მოაბნელებდა მტკვრის ანკარა, მზის სხივებით გაშუქებულ სივრცეს.

კალმახთა მოდგმა არასოდეს მოსწრებია ასეთ სიხარულს.

თვალებჩამქრალმა მორბედამაც კი დაინახა უშიშას ბედნიერი სახე; დიახ, დაინახა. წამით დაუბრუნდა მხედველობა. უშიშაც დაინახა და მის უკან მომაგალი ქარავანიც...

მორბედამ არ იცოდა, ნამდვილად დაინახა, თუ ეს თვალის ცდუნება იყო. ის გაქანდა უშიშასკენ, მკერდი მკერდზე მიაყრდნო და მღელვარე ხმით უთხრა:

— მაპატიე, უშიშავ, მაპატიე ბრმასა და უბედოქრს! მე ხომ ჩემი დანაშაული გამოვისყიდი მერცხალას მოყვანით!

უშიშას გული აუჩვილდა.

გაუყვირდათ, როცა მის თვალზე ცრემლი შენიშნეს, ერთადერთი, თბოლი ცრემლი.

— ძმაო... — უთხრა მან მორბედიას და ხმა ჩაუწყდა.

იგი დიდხანს ცდილობდა იმ ერთი ცრემლის დამალვას და დაწყებული სიტყვის მშვიდად დაბოლოებას.

— ძმაო, მართალია, უბედურება გწვევია, ქვეყანას ველარ ხედავ, მაგრამ მაინც ბედნიერად მიმაჩნისარ, რომ ისევ ჩვენთან გხედავ!
— უშიშავ, მართალია, ვერ გხედავ, მაგრამ შენი სახე თვალწინ მიდგას, შენ სახე გიცივის...

მორბედას სუნთქვა შეეკრა, ხმა აუკანკალდა.

ორი ძველი კალმასის გულთბილ საუბარს მთელი ქარავანი სულგანაბული უსმენდა. ყველა უშიშას, მერცხალასა და მორბედას შეჰყურებდა.

ერთხანს დუმილი მეფობდა, ყველა გრძნობდა, რომ სწორედ ახლა, ამ წამს, უშიშას რალაც მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა. მართლაც, უშიშა ქარავანს გამოეყო, შეითამაშა, ამალღდა და დაიძახა:


— კალმასებო, ჩემმა მერცხალამ სიკვდილს ერთხელ უკვე აჯობა. ვინც სიკვდილს ერთხელ დამარცხებს, მას მტერი ველარაფერს დააკლებს. მერცხალა ჩემი მემკვიდრია, მან ერთი რამ მოხოჯა წელან და უნდა შევეუსრულო. აბა, მომყევით, გზაში ყველაფერს გეტყვით!

კალმასები დაირაზმნენ, დამწყვირდნენ და უშიშასა და მერცხალას გაჰყურენ.

უხმოდ, პირქუშად მიაპობდა ტალღებს უშიშა. მას გვერდით აოღლებებისაგან სახეანთებული მერცხალა მისდევდა. მხოლოდ მან იცოდა, თუ რატომ აიღო უშიშამ გეზი ხერთვისის სანაპიროსაკენ. იქ ხომ პიონერთა ბანაკი იყო გაშენებული. აი, სწორედ იქით მიისწრაფოდა უშიშა. წელან, გზაშივე გაუზიარა უშიშას მერცხალამ თავისი გულისწავლები. მთელს საკალმასოში უძლიერე უშიშას განა გაუჭირდებოდა საყვარელი მერცხალას სურვილის შესრულება, განა ასეთი ძნელი იყო მტკვრის სათავეში მომხთარი ამბის მიტანა აქვე, სანაპიროზე მოთამაშე წითელყელსახვევიან ბავშვებთან?

„შესძლებს უშიშა. შესძლებს“ — ფიქრობდა მერცხალა.

მის სახეს ბედნიერების ღიმი დასთამაშებდა, აჩეთ-იქით მხნედ იყოჩრებოდა და ამაყად მიაპობდა მშობლიური მტკვრის მღელვარე ტალღებს.



ორი ძველი კალმასის გულთბილ საუბარს მთელი ქარავანი სულგანაბული ისმენდა.

* * *

ნეტავ შესძლეს თუ არა კალმასებმა განზრახულის შესრულება?

ნეტავ გააგებინეს თუ არა პიონერთა ბანაკს თავისი გულწრფელი ხმა, უამბეს თუ არა პატარა მწყემსისა და მისი მოხუცი პაპის გულისწავილი?

ჩემო პატარა მკითხველებო, კალმასებმა ფრთა შეასხეს თავის ოცნებას, მათ მიამბეს ეს პატარა ამბავი, რომ თქვენთვის გადომეცა ამ მოთხრობის სახით.


თქვენ ხომ გული შეგტკივით თურქეთის უღელქვეშ მგმინავი ქართველებისათვის, თქვენ ხომ გაუთხებთ თქვენი პატარა ძმების კვნესა, ხომ გესმით მათი მოწოდება?

განა მათი კვნესა ყოველ დღით ჩვენი მტკვრის ტალღებს არ ჩამოაქვთ, განა ეს კვნესა არსიანის მთიდან დაძრულ ნიავს არ მოჰყვება, რომ საქართველოს თავისუფალ მთაბარს მოეფინოს?

ღიან, დაიჯერეთ ეს ამბავი, რომელშიც სიკრუე არ ურევია.

დაიჯერეთ, შეიყვარეთ და სხვასაც უამბეთ.





ამას წინათ საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ბელგიის მშრომელთა დელეგაცია. დელეგატთა შორის იყო საშუალო სკოლის ახალგაზრდა მასწავლებელი მარიუს სერვრანკსი. გამგზავრების წინ მან საბჭოთა ადამიანებს მოუთხრო იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობენ და ცხოვრობენ ბელგიელი ბავშვები, რა რიგ მკვეთრად განსხვავდება მათი ცხოვრება საბჭოთა ბავშვების ცხოვრებისაგან.

ვბეჭდავთ ნაწყვეტს მარიუს სერვრანკსის ნაამბობიდან.

მე მასწავლებელი ვარ, და ყველაზე მეტად ის მაოცებს, რომ საბჭოთა ქვეყანაში ყველა ბავშვი სწავლობს. ჩვენიც, ბელგიაში, გვაქვს კანონი საყოველთაო სწავლების შესახებ, მაგრამ ნამდვილად ბევრ ბავშვს ბელგიაში სიღარიბის გამო შესაძლებლობა არა აქვს ისწავლოს.

ჩვენი სკოლები ცუდად არის მოწყობილი. ეს იმიტომ, რომ ბელგიის მთავრობა სკოლებისთვის თითქმის არ ზრუნავს, სახალხო განათლებაზე ძალიან მცირე თანხას ხარჯავს.


როდესაც მე სკოლაში ვსწავლობდი (მას შემდეგ თითქმის არათფერი შეცვლილა), ჩემი სწავლის ექვსი წლის განმავლობაში სკოლაში მხოლოდ ორჯერ ვნახე მიკროსკოპი. საზეიმო მომენტი იყო, როდესაც მასწავლებელი კლასში ფრთხილად შემოიტანდა ძველ, დაზიანებულ მიკროსკოპს, დადგამდა მაგიდაზე და იტყოდა: „აი, ბავშვებო, შეხედეთ ამ შესანიშნავ აპარატს, რომლის დახმარებით მეცნიერებს შესაძლებლობა აქვთ დაკვირვება აწარმოონ უბრალო თვალით უხილავ საგნებზე“. მაგრამ უნდა ითქვას, ისე გაგზნდი თექვსმეტი წლის, რომ მიკროსკოპში ჩახედვის რიგი არ მომსვლია. ამის შემდეგ წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირება, როდესაც მოსკოვის ჩვეულებრივი სკოლის ბიოლოგიის კაბინეტში მე ვნახე 20-25 ნამდვილი ლაბორატორიული მიკროსკოპი... არ არის გასაკვირველი, რომ საბჭოთა ბავშვები ბევრად უკეთესად სწავლო-

ბენ, ვიდრე ჩვენი, ბელგიელი ბავშვები. მშვენიერი ლაბორატორიები, კაბინეტები, თვალსაჩინოდ ხელის შეწყობა ბავშვებს ესმარება მიიღონ ღრმა და მტკიცე ცოდნა. საბჭოთა ბავშვების 90 პროცენტზე მეტი წარმატებით სწავლობს, ხოლო ბელგიაში სწავლის წარჩინებულები მოსწავლეთა 60 პროცენტზე ნაკლებია.

მე ვესაუბრე ბევრ საბჭოთა მოსწავლეს და ბევრ მათგანს შევეკითხე: „რა უნდა გამოხვიდე მომავალში?“ და ყოველთვის მივიღე დამაჯერებელი და მტკიცე პასუხი: „მე ვიქნები ექიმი“, „მე ვიქნები მფრინავი“, „მე ვიქნები აგრონომი“ და ასე შემდეგ. თაყიანთ მომავალზე საბჭოთა ბავშვების ეს დაჯერებულობა მაკვირვებდა მე. ბელგიელ მოსწავლეს განა შეუძლია იოცნებოს რომელიმე პროფესიაზე? მას არ შეუძლია პროფესიის არჩევა.

ბელგიელი ბავშვების დიდი ნაწილი სწავლას თავს ანებებს 12 წლის ასაკში. ეს ბავშვები შეიძლება იქნენ მხოლოდ შავი მუშები. მართალია, ზოგიერთი კიდევ ორ წელიწადს — 14 წლის ასაკამდე — სწავლობს. მაგრამ შემდეგაც მათ არათფერი კარგი არ მოუვლით. უკეთეს შემთხვევაში მათ შეუძლიათ მოეწყონ ექსპედიტორებად ან შიკრიკებად, ბევრს კი ასეთი სამუშაოს მიღებაც არ შეუძლია. ჩვენს ქვეყანაში ხომ უმუშევრობაა!

მარიუს სერვრანკსი



გამოცდებისათვის მზადების დღეებში



ენერგული ფიზიკური ვარჯიში გონებით და დაბაბულად მოძუშავე ადაძიახს ხელს უწყობს ყურადღება თავისი სამუშაოდან დროებით სხვა საგანზე გადაიტანოს. ასეთი დასვენების შემდეგ აზრი ხდება უფრო ნათელი, მეხსიერება — უფრო მტკიცე, ყურადღება — გამახვილებული.


მაგრამ ჯერ კიდევ ყველა მოსწავლეს როდი ესმის ეს. გამოცდებისათვის მზადების პერიოდში ისინი დიდიდან გვიან დაშემდეგ უსხედან წიგნებს. ძათ დღითი დღე აკლდებათ შრომისუხარიაანობა, სულ უფრო მეტად უძნელდებათ ყურადღების გამახვილება ამა თუ იმ საგანზე. ასეთი მოსწავლე კითხულობს წიგნს, და უცებ ამჩნევს, რომ კითხულობს მექანიკურად, ხოლო წაკითხულის აზრი მის შეგნებადღე არ აღწევს. ეს ხდება იმიტომ, რომ ეს ბავშვები შეუსვენებლად მეცადინეობენ.

გაცილებით მეტს იგებენ და იმახსოვრებენ ბავშვები, რომლებიც მეცადინეობას და დასვენებას ერთმანეთს უხაცვლებენ.

დილით აუცილებლად გააკეთეთ დილის გამამხნეებელი ვარჯიში და ტანი წელს ზევით წყლით დაიზილეთ. ვარჯიშს მოუხდებთ სულ 15 წუთი, სამაგიეროდ მთელი დღის განმავლობაში თავს მხნედ იგრძნობთ და გაცილებით მეტის გაკეთებას შესძლებთ.

სადამოს, მეცადინეობის დამთავრების შემდეგ, გააკეთეთ რამდენიმე თავისუფალი ვარჯიში და ტანი თბილი წყლით დაიზილეთ. ეს დაამშვიდებს თქვენს ნერვიულ სისტემას.

სტეძას. ხშირად, დაბაბული გონებრივი შრომის შემდეგ, ძნელია დაძინება. ავზნებული ტვისი არ მშვიდდება. საწოლში მწოლარე თქვენ ისევ განაგრძობთ იმაზე ფიქრს, რაც თქვენი მეცადინეობის საგანი იყო. სადამოს ტანვარჯიში და თბილი წყლით ტანის დაზელა დაგეხმარებათ გონებიდან გამოროთოთ ყოველივე, რაც მეცადინეობას ეხება, და თქვენ სწრაფად და მაგონად დაიძინებთ.




ვარჯიში 2


როდესაც გაკვეთილებს ამზადებთ, ყოველი 45-60 წუთის შემდეგ აუცილებლად გააკეთეთ ხუთწუთიანი შესვენება, მხოლოდ მეცადინეობას ხუ შეწყვეტთ აზრის დაუშთავრებლად. აუცილებლად ბოლომდე წაიკითხეთ მოცემული თავი, ან დაამთავრეთ ამა თუ იმ ამოცანის ამოხსნა, ისე რომ შესვენების შემდეგ ახალ სამუშაოს შეუდგეთ. შესვენების დროს გააკეთეთ 3-4 ვარჯიში, თითოეული 6-10 ჯერ. ეს ვარჯიში აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, სისხლს ამდიდრებს ქანგბადით და ამით ამაღლებს გონებრივ შრომისუხარიაანობას.

დადებით თავისუფლად, ფეხები ოდნავ გაშალეთ, აწიეთ ხელები მაღლა და ორმაგად შეისუნთქეთ. სუნთქვის შეუჩერებლად ხელები დაუშვით დაბლა, ღრმად ჩაჯექით, ხელებით იატაკს შეეხეთ, ერთდროულად ღრმად ამოისუნთქეთ. აღნიშნული ვარჯიში გაიმეორეთ ექვსჯერ (იხ. ვარჯიში 1).

ფეხები გაშალეთ მხრების სიგანეზე, ხელის თითები ერთმანეთს გადააჭდეთ და ხელის გულები დაიდეთ თავზე, ღრმად ჩაისუნთქეთ.



ვარჯიში 1



ვარჯიში 3.

თქმით, რამდენადაც შეგიძლიათ გადაიხარეთ გვერდზე, ერთდროულად ამოისუნთქეთ. ხელ-ხელა გასწორდით, თან ღრმად შეისუნთქეთ. ეს ვარჯიში გაიმეორეთ რიგრიგობით მარცხნივ და მარჯვნივ 6-8 ჯერ (იხ. ვარჯიში 2).

ფეხები განზე გაშალეთ, ხელები მოღუნეთ მკერდის წინ, ტანი გვერდზე მიაბრუნეთ, ხელები გაშალეთ და ღრმად ამოისუნთქეთ, შემდეგ შემობრუნეთ ტანი პირდაპირ და ხელები ისევ მკერდის წინ მოღუნეთ, შეისუნთქეთ. ვარჯიში გაიმეორეთ მარჯვნივ და მარცხნივ 8-10 ჯერ (იხ. ვარჯიში 3).


გააკეთეთ 30-40 დაბალი ხტომა ადგილზე, ამავე დროს ფეხები ხან გაშალეთ, ხან შეაერთეთ. ხტომის დროს ეცადეთ ისუნთქოთ რაც შეიძლება ღრმად და თანაბრად (იხ. ვარჯიში 4).

ხტომის შემდეგ იარეთ ოთახში 1-1,5 წუთს, სუნთქვის დასამშვიდებლად. შემდეგ

მოხერხებულად დაჯექით, უმჯობესია წამოწვეთ. დახუჭეთ თვალები, მოახრევეთ კუნთი და 12-15 ჯერ ღრმად შეისუნთქეთ და ამოისუნთქეთ. წამოდექით, კარგად გასწორდით, მიუჯექით მაგიდას და განაგრძეთ მეცადინეობა.

ვარჯიშის წინ აუცილებლად გააღეთ ფანჯარა, სუფთა ჰაერი განსაკუთრებით საჭიროა დაძაბული გონებრივი მეცადინეობის დროს.

ამას გარდა, ყოველდღიურად გაისეირნეთ ერთი საათით. სეირნობის დროს იარეთ ფართო ნაბიჯებით, ღრმად ისუნთქეთ.



ვარჯიში 4.

მაგრამ გახსოვდეთ, რომ დაძაბული გონებრივი შრომის დროს უნდა ერიდოთ ფიზიკურ დაღლას.

ეცადეთ წესიერად განაწილოთ დრო, ყოველი წუთი ჯანმრთელობისა და მეცადინეობისათვის სასარგებლოდ გამოიყენოთ.



„მოსკოვკა“

ჩვეულებრივი იაროვიზებული* ხორბალი არაშავნიადაგიან ზონათა რაიონებში იძლევა 20 ცენტნერ მოსავალს ჰექტარზე. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა ვ. პისარევმა გამოიყვანა იაროვიზებული ხორბლის ახალი ჯიში „მოსკოვკა“, რომელიც ჰექტარზე გადაამეტებით 5 ცენტნერ მოსავალს იძლევა.

გასულ წელს მოსკოვის მხარეში კომუნისტური რაიონის, დიმიტროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა თითო ჰექტარიდან მიიღეს 34 ცენტნერზე მეტი ხორბალი.

„მოსკოვკამ“ მკაცრი გამოცდა ჩააბარა

* იაროვიზებული ხორბალი — სავაზაფხულო ხორბალი.

სსრ კავშირის არა მარტო ევროპული ნაწილის არაშავნიადაგიან ზონებში, არამედ ურალისა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ზოგიერთ რაიონშიც. ბევრი ძვირფასი თვისება აქვს „მოსკოვკას“: მისი მწიფე მარცვლები არ ცვივა, ღერო მაგრად დგას და არ იცის ჩაწოლა. ამ ახალი ჯიშის ხორბალს არ ეშინია ისეთი დაავადებებისა, როგორცაა ყანგარა სოკო და გუდაფშუტა.

„მოსკოვკას“ ხორბალი უბრალო დაფქვითაც კი იძლევა ღია ფერის ფქვილს, რომლისგანაც მაღალხარისხოვან პურს ვღებულობთ.

თავისი ნაშრომისათვის მოხუც სელექციონერს ვ. პისარევს სტალინური პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება მიენიჭა.



ერისველების მიმომფრენა

გავიდა სუსხიანი და თოვლიანი ზამთარი. გაზაფხულის მზემ გაათბო არემაჩე და შეუცვალა მას ელფერი: აყვავდა ხე და ბუჩქი, მინდორ-ველი ათასნაირი ყვავილით მოიფინა. ამით წახალისებულებმა ჩვენც გავისეირნეთ მინდვრად და იქვე მახლობელ ჭალაში შევუხვიეთ. გზად შეგვხვდა აუარებელი ფრინველი. აი, აქ გაგოგმანდა მწყერი, აგერ ხიდან ოსმის მოლაღურის „ბიჭო-გოგიას“ მოძახილი, იქ ბულბული სტვენს, ჭალიდან ისმის გუგულის „გუ-გუ“, აქ გვრიტები, ჩიტბატონები, შოშიები სტეტენ და ელურტულენ. აი, ჭაობიდან ნელა აიშრთა და გაშალა ფრთები ყარყატმა, აგერ ველზე დინჯად დასეირნობს წერო და ხან აქ და ხან იქ ჩაჰკრავს ნისკარტს. საითაც არ გავიხედავთ, ყველგან უცნაური და მრავალფეროვანი ფრინველები გვხვდება. უნებურად გვებადება კითხვა: სად იყვნენ ეს ფრინველები, სად აფარებდნენ თავს სუსხიან ზამთარში? ეს ფრინველები თბილ ქვეყნებში იყვნენ, იქ გაატარეს მათ ზამთარი და ახლა ჩვენთან მოფრინდნენ. აქ ბარტყებს გამოჩეკავენ, დაზრდიან და შემდეგ კვლავ თბილი ქვეყნებისკენ გაემგზავრებიან. ასეთ ფრინველებს მიმომფრენი ეწოდება.

ფრინველები სახეობათა მიხედვით შეიძლება სამ ჯგუფად გავყოთ: მოზინადრე, მომთაბარე და მიმომფრენი.

მოზინადრე ეწოდება ისეთ ფრინველებს, რომლებიც ზამთარ-ზაფხულ ერთსა და იმავე ადგილას ცხოვრობენ. ასეთი ფრინველია, მაგალითად, ბელურა. იგი ჩვენს კარ-მიდა-

მოს არ სცილდება მთელი წლის განმავლობაში.

მომთაბარე ფრინველები ზამთრის მოახლოებისას თავიანთი ბუდობის ადგილს მცირე მანძილით სცილდებიან. ასეთია, მაგალითად, შურთხი, ჭკა, ჭილყვაფი და სხვა. მაგალითად, შურთხი კავკასიონის მთაგრეხილის ალბურ ზონაში ატარებს წლის უმეტეს დროს, იქ ჩეკავს და ზრდის წიწილებს. ზამთრის დასაწყისში, როდესაც ალბური ზონა თოვლით იფარება და ამის გამო საკვების მოპოვება უძნელდება, შურთხი დაბლა ჩამოდის და ზოგჯერ მთელ ზამთარს ტყის ზონის ზედა სარტყელში ატარებს.

მიმომფრენი ფრინველები თავისი ბუდობის ადგილიდან საკმაოდ შორს მიფრინავენ ზამთრის გასატარებლად. ზოგიერთი ფრინველის (მაგალითად, ტივტივას) ზამთრობის ადგილი ბუდობის ადგილიდან 15.000 კილომეტრითაა დაცილებული.

ზამთარს მიმომფრენი ფრინველები ატარებენ კასპიის ზღვის სანაპიროზე, ირანში, აფრიკაში, ინდოეთში და სხვ.

ფრინველები მიმომფრენას გარკვეული გზებით ახდენენ. საბჭოთა კავშირის ფრინველების მიმომფრენის გზები დაწვრილებით შეისწავლა ცნობილმა რუსმა მეცნიერმა აკადემიკოსმა მ. მენზბირმა. ეს მკვლევარი საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილისათვის ძირითადად ოთხ გზას არჩევს, რომელთაგან ერთი გადის შავი ზღვის, ხოლო მეორე კასპიის ზღვის სანაპიროებზე. ბუნებრივია, რომ საქართველოს ფარგლებში მობუ-

საქართველო
საქართველოს
საქართველოს



ღარი ფრინველები შავი ზღვისა და კასპიის ზღვის გზებით მიმოფრენენ.

ფრინველების ფრენის სისწრაფე სხვადასხვაა. ასე, მაგალითად, გამორკვეულია, რომ ყვავის ფრენის სისწრაფე საათში 48 კილომეტრს უდრის, შოშაისი — 74, ამერიკის ჟანგულასი — 94, გარეული იხვის — 97, ფოსტის მტრედის — 120, მერცხლის — 220 კილომეტრს და ა. შ.

რაგინდ სწრაფი ფრენა ახასიათებდეს ფრინველს, იგი დღე-ღამის განმავლობაში ცოტას ფრენს, ხოლო მეტ ხანს ისვენებს.

საყურადღებოა, რომ შემოდგომაზე ზამთრობის ადგილისაკენ გადაფრენისას ფრინველები უფრო ნელა მიფრინავენ და გზაში მეტ ხანს რჩებიან, ვიდრე გაზაფხულზე — ბუდობის ადგილისაკენ მოფრენისას.

ფრინველები უმეტეს შემთხვევაში მრავალრიცხოვანი ფუნდების სახით მიმო-

ფრენენ. ასეთებია, მაგალითად, ყაუყატები, ყანჩები, წეროები, ბატები და სხვ. ზოგი ფრინველი, მაგალითად, ოფოფი, გუგულო და სხვ., განმარტოებულად მიმოფრენს.

ალსანიშნავია, რომ ფრინველები, რომლებიც ჩვენთან ყველაზე ადრე მოფრინავენ, უკან ყველაზე გვიან ბრუნდებიან. ასეთებია: ჭილყავი და სხვ., ხოლო ის ფრინველები, რომლებიც ყველაზე გვიან მოფრინავენ, უკან ყველაზე ადრე ბრუნდებიან. ასეთებია, მაგალითად, ნამგალა, მერცხალა, ყაპყაპი, ოფოფი და სხვ. ეს უკანასკნელები ძირითადად მწერებით იკვებებიან და მათი მოფრენისა და გადაფრენის ვადები ემთხვევა მწერების ზამთრის ძილიდან გამოღვიძებისა და გამრავლების ვადებს.

ფრინველების (განსაკუთრებით კი სარეწაო მნიშვნელობის) მიმოფრენის ვადებისა და გზების შესწავლასა და დადგენას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ფრინველების მიმოფრენის გზებისა და ვადების დაზუსტებით ადვილდება ამ ფრინველთა სარეწაო მიზნით დამზადების საქმიანობა.

ნორჩო მკითხველო, დააკვირდი, შენს ეზოში რომელი ფრინველი როდის მოფრინდა და ჩაიწერე უბის წიგნაკში. შემდეგ შემოდგომაზე ნახე — რომელი მათგანი როდის გაფრინდა. ეს ჩანაწერები შეადარე მომავალი წლის ასეთსავე ჩანაწერებს და შეადგინე ფრინველების მიმოფრენის კალენდარი. დააკვირდი იმ მოკლეხასაც, თუ რაზეა დამოკიდებული ფრინველის ადრე ან გვიან მოფრენა.

პრ. ჯანაშვილი

ს ი რ ა ქ ე მ ა


ეს ფრინველი ცხელი ქვეყნის მცხოვრებია. მეტად გრძელი ღონიერი კისერი და ფეხები აქვს. სიმალით სამ მეტრს აღემატება. სიმძიმით 130 კილოგრამამდე აღწევს. ფრთები აქვს პატარა და სუსტი, ამიტომ ფრენა არ შეუძლია, მაგრამ სირაქლემამ ისეთი საკვირველი ჩქარი სირბილი იცის, რომ ცხენიც კი ვერ დაეწევა. ზურგი ისეთი ღონიერი აქვს, რომ ზედ კაცს შეისვამს. სირაქლემას საყვარელი საქმელი სხვადასხვა მარცვლეულობა და ბალახია; თუ დაიჭირეს და მოშინაურდა, გამომცხვარი პურის ჭამასაც ეჩვევა. სირაქლემას კვერცხი პატარა ყმაწვილის თვის ტოლად და ქათმის ოც-ოცდახუთ კვერცხს უდრის.

სირაქლემას ცხოვრებაში ბარტყების გამოჩეკა ყველაზე უფრო შესანიშნავია. სხვა ღროსაც და მეტად

გამოჩეკვის დროს, ოთხი ან ხუთი სირაქლემა ერთად ცხოვრობს; ამ კრებაში შამალი მხოლოდ ერთია. სამი ან ოთხი დედალი კვერცხებს ერთ ბუდეში დებს. ბუდე მრგვალს აკეთებენ. თიხნარი მიწის ორბოში; გარშემო ბუდეს ამაღლებულ ბეგობს გაუკეთებენ ხოლმე, რომ ვეებერთელა კვერცხები არ გადმოცივიდეს.

დღისით ბუდეზე დედლები რიგრიგობით სხედან; როცა ერთს ჯდომა მოსწყინდება, სიარული და საქმლის შოვნა მოუწოდება, მეორე დედალი მივა, ბუდეზე მჯდომარეს დაითხოვს და თვითონ დაჯდება.

ცხელი ქვეყნების მცხოვრებლები ცდილობენ ეს ფრინველი შეიჩვიონ და მოიშინაურონ. სირაქლემა მალე მიეჩვევა ხოლმე შინაურ ცხოვრებას და ადამიანის სამსახურს. მას ცხენის მაგივრად იყენებენ.



შინაარსიანად გავატაროთ ზაფხული

ახლოვდება პიონერული ზაფხული. როგორ უნდა გავატაროთ იგი? რასაკვირველია, ხალისიანად, შინაარსიანად, რომ ზაფხული შინაარსიანად გავატაროთ, საჭიროა ამის შესახებ დროზე ვიფიქროთ და შევადგინოთ შესაფერისი გეგმა, რომ არ დავემსგავსოთ იმ მოცურავეს, რომელიც იქით მიდის, საითაც მდინარე წაიღებს.

ლამაზი და მრავალფეროვანია ჩვენი სამშობლოს ბუნება. დიდად შრომისმოყვარულია ჩვენი ხალხი. დიდი დიდი მშვენიერდება და იზრდება ჩვენი ქალაქები და სოფლები. პიონერი აუცილებლად უნდა იცნობდეს მშობლიურ მხარეს. მის გასაცნობად ხელს დიდად შეგიწყობთ მოგზაურობა მშობლიურ მხარეში. ახლავე გაფიქრებული უნდა იყოს საით, რა მარშრუტით წარმართავს თავის მგზავრობას ესა თუ ის პიონერული რაზმი. ამ მხრივ გზა მრავალია, მათგან კი მთავარია გზა სუთფლედის ახალი მშენებლობებისაკენ.

მომზადებული სურათები გადაგიშვებთ ამ გზაზე: პილდროლიქტროსადურების მშენებლობა, კეთილმოწყობილი სოფლები, არხები, ახალი ჩაჩხნები, ტყის ახალი ზოლოები, ახალი სკოლები... არა, ყველაფერს ვერ ჩამოთვლით, რასაც თქვენ მგზავრობის დროს ნახათ. აიღეთ ფანქარი და მასწავლებლის დახმარებით შეადგინეთ სამგზავრო რუკა.

თუ თქვენ ცოდნისმოყვარული, მძიებელი და აკირიბული ხართ, ბუნების ბიური საილუმოება გადაგეშვებათ მთებში, მინდვრებში, ტყეებში მოგზაურობის დროს. გზადაგზა თქვენი ჰერბარიუმები შეივსება იმდენი მკვანარეულობით. ზოლო თქვენი ზურგჩანთები საინტერესო მინერალებით. ამ მოგზაურობაში თქვენ დაიგებთ ნამდვილი მეგობრობის ფასს. გზად შეხვედრილ სიძნელეთა გადალახვაში დაეხმარებით ერთმანეთს, ისწავლით სკოლაში მიიღებული ცოდნის ერთმანეთისათვის გაზიარებას, გაათავოებთ ცოდნას მით, რასაც დაინახათ. გაიგებთ და აღმოაჩინთ მოგზაურობის დროს.

სპორტისთვის ზაფხული მეტად ხელშემ-

წყობია. სპორტი ერთ-ერთი საშუალებაა იმისათვის, რათა პიონერები ზაფხულში გამაგრდნენ, გამოიწროთ, მიეჩვიონ ამტანობას.

თუ სკოლის მახლობლად არ არის სპორტული მოედანი, უნდა მოაწყოთ იგი, ზოლო თუ არის — საჭიროა მისი უკეთესად მოწყობა.

მაგრამ სპორტული მოედნის მოწყობა არ კმარა — არავითარი ფასი არა აქვს მოედანს, თუ მასზე ფიზკულტურული ცხოვრება არ დღეს, თუ ბავშვები არ აბარებენ ფიზკულტურულ ნორმებს, არ ეჯიბრებიან ერთმანეთს, არ აწყობენ შეხვედრებს სხვა რაზმებთან.

შედეგნილი უნდა გქონდეთ სპორტული კალენდარი. რითაც გათვალისწინებული იქნება, თუ რა სახის სპორტულ ნომრებს შეასრულებენ ნორჩი ფიზკულტურელები ზაფხულში. არ დაგავიწყდეთ ხალხური სპორტული გართობების შიკანა კალენდარში, ცორობის შესწავლა, სამამო-საქადრაკო ტურნირები.

ზაფხულის შინაარსიანად გატარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს პიონერთა ბანაკურ ცხოვრებას.

პიონერებმა, რომლებიც სოფლად ან ქალაქად რჩებიან, სასურველია სკოლის ეზოში ან სხვა შესაფერ, მოხიზრებულ ადგილას მოაწყონ პიონერული ბანაკები. დილით ბავშვები ბანაკებში უნდა იკრიბებოდნენ, გამამხნეველი ფიზკულტურული აარჯიმის შემდეგ მოემაობას უნდა იწყებოდნენ წრეები: ნორჩი ნატურალისტები აწარმოებდნენ მცენარეულობის შიგროვებასა და შესწავლას, ნორჩი ტექნიკოსები ხელოვნდებოდნენ მოდელების, წიგნების აკინძისა და რთული ხელსაწყოების კეთების საქმეში... უნდა ეწყობოდეს პიონერული შიკრებები, მოგზაურობანი, შეხვედრები მოწინავე ათამიანებთან, ეწყობოდეს მხაზიროლი სადამოები.

ასე გატარებული პიონერული ზაფხული იქნება შინაარსიანი, საინტერესო და ხალისიანი.



შროშანა



ჯადვარი



ფუტკარა

შროშანა. საქართველოს მთასა და ბარში ბევრი სამკურნალო მცენარე ხარობს. მათგან აღსანიშნავია შროშანა (ქართლში დათვის სიმინდად წოდებული), რომელიც გაზაფხულის მცენარეთა შორის მეტად ლამაზია. ის ოცი-ოცდაათი სანტიმეტრის სიმაღლისაა, აქვს ფესვურები, სწორმდგომი ღერო და პარალელური ნერვაციის მქონე 2-3 ფესვთან გრძელყუნწა ფოთოლი. ეს ფოთლები ოვალური ან ლანცეტაა და მკვეთრი მწვანე ფერი აქვს. უფოთლო ღეროს კენწეროზე მტევან ყვავილედში შეკრებილი მოკლეყუნწიანი ყვავილებია. განაყოფიერების შემდეგ ყვავილიდან მრგვალი, წითელი კენკრა ვითარდება. ამ მცენარის ყველა ნაწილი შხამიანია, მაგრამ ყვავილები მეტად სურნელოვანია, მიმზიდველი და ლამაზი. ჩვენში ის საკმაოდ გავრცელებულ მცენარეს წარმოადგენს და საქართველოს მთის ქვედა სარტყლის ნესტიანი ტყეებისათვისაა დამახასიათებელი. მედიცინაში მას იყენებენ როგორც გულის მუშაობის საუკეთესო მომწესრიგებელს. მცენარეს იღებენ ისე, რომ ფესვურები მიწაშივე რჩება, მერე ამ მცენარეს ჩვეულებრივი წესით აშრობენ და აფთიაქს აბარებენ. შეგროვებას იწყებენ მაისის შუა რიცხვებიდან.

ჯადვარი. ამ მცენარეს საქართველოში გუგულისკაბას და კაცი-თითსაცეხიან. ის საშუალოდ 30 სმ სიმაღლისაა. მისი ფოთლები სქელია, განიერი, მოგრძო ან ელიფსური და ღეროს ქვედა მხარეზე ემაგრება. ღერო სწორმდგომია და წვნიანი, კენწეროზე მოგრძო ან ცილინდრული ფორმის მტევანი ყვავილედი ვითარდება. ყვავილედის შემადგენელი ყვავილები ჩვეულებრივ მოწითალოა. იისფერი ან შროშანი. ღერო მიწაში ფუძესთან ივითარებს ტუბერაკებს, რომელთაგან ერთი გასული წლისაა და შავი ფერი აქვს, ხოლო ორი ახალი ტუბერი ნათელია, ხორციანი და სადა. ძველი ტუბერაკი გამოფიტულია და თითქოს მოხარშულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ტუბერაკე-

ბის მოყვანილობა სხვადასხვაგვარია, ზოგი მრგვალია, ზოგი მოგრძო და ზოგიც თათისებურად დაყოფილი. ამ ტუბერაკებში ჯადღარი მეორე სავეგეტაციო წლისათვის იმარაგებს საზრდო მასალას, რის გამოც გასული წლის ტუბერაკი გამოფიტული და რბილია, ხოლო ახალი ტუბერაკები საზრდო მასალითა და სასარგებლო ნივთიერებებითაა მდიდარი. ამიტომ ისინი ამ მცენარის ვეგეტაციის დასრულების შემდეგ მყისვე უნდა შეგროვდეს შემოდგომაზე, ან ვეგეტაციის დაწყებამდე ადრე გაზაფხულზე. საქართველოს ტენიანი ტყეები და მდელოები მეტად მდიდარია ჯადღარების სხვადასხვა სახეობით. ამ სახეობათა რიცხვი 45 აღემატება. ჯადღარები საქართველოს ყველა კუთხეშია. მათი ტუბერაკები შეიცავენ 40-50 პროცენტ არაბინიან და დექსტრინიან ლორწოს; მთავარი ნიშნენლობა აქვს ნივთიერება ბასორინს. ამ ლორწოს მედიცინაში იყენებენ, განსაკუთრებით მძიმე მოწამელის დროს, ყელის დაავადების წინააღმდეგ, დასალევად კუჭ-ნაწლავის კატარებისა და კუჭის სისხლიანი აშლილობის დროს. ძაფზე აცმულ გარეცხილ ტუბერაკებს ცხელ წყალში ამოავლებენ, გააშრობენ და აფთიაქს ჩააბარებენ.



ჩადუნა


ფუტკარა. ამ მცენარეს ლიტერატურაში სათითურასაც უწოდებენ. ის საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება. იზრდება მთის ქვედა სარტყლიდან უმაღლეს სარტყლამდე, როგორც ტყეებში, ისე ტყის ნაპირებზე და ნესტიან სუბალპურ მაღალ ბალახეულობაში. იგი ერთი მეტრის სიმაღლის მცენარეა, სწორმდგომი ღერო აქვს. ფოთლები განიერია, ლანცეტა, ზედა მხარე უანგისფერი წინწკლებითაა დაფარული; ფესვანი ფოთლები გრძელყუნწიანია, დიდი და ხშირი; ღეროზე განწყობილი ფოთლები უფრო პატარებია. ისინი კენწეროსკენ თანდათანობით პატარავდებიან და მჯდომარეებია. ღერო კენწეროზე ივითარებს ყვითელი ფერის, მტევან ყვავილედში შეკრებილ სათითისმაგვარ ყუნწიან ყვავილებს. მათ შიგნით, ქვედა მხარეზე შავი პატარა წინწკლები აქვთ. ფუტკარას ფოთლებს ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე აგროვებენ. შეგროვება ჩვეულებრივი წესით წარმოებს. გამშრალ მასალას აფთიაქს აბარებენ. ამ მცენარიდან მიიღება სამკურნალო საშუალება, რომელიც გულის მუშაობას აწესრიგებს და კარგად მოქმედებს სისხლძარღვოვან სისტემაზეც.

ჩადუნა. მას ჩვენი ხალხი გვიმრასაც ეძახის, ხოლო მედიცინაში მამალი გვიმრის სახელწოდებითაა ცნობილი. მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, სიმაღლით 20 სანტიმეტრიდან ერთ მეტრამდეა და ზოგჯერ უფრო მეტიც.

საქართველოში დიდი რაოდენობით მოიპოვება, გავრცელებულია მთის ქვედა სარტყლიდან სუბალპურ სარტყლამდე, განსაკუთრებით კარბად გვხვდება წიფლნარში, არის სუბალპური ნესტიანი მდელოების მაღალ ბალახეულობაშიც, ბუჩქებს შორის. კლდეებზე და



შხამა



სხვა. მედიცინასა და ვეტერინარიაში იყენებენ ჩადუნას ფესვურას. მისგან იღებენ პრეპარატებს, რომლებსაც ლენტისებური ჭიების საწინააღმდეგოდ ხმარობენ. ფესვურების შეგროვება შეიძლება როგორც ადრე გაზაფხულზე, ისე გვიან შემოდგომაზე. ჩადუნას ფესვურასაგან მნიშვნელოვანი პრეპარატები ავადმყოფს თუ მეტი რაოდენობით მივეციტ, შეიძლება მოწამვლა გამოიწვიოს. რაც მის შხამიანობაზე მიგვიჩივებს.

შხამა. ამ მცენარეს გურიაში აპუტარაკს ეძახიან. გვხვდება საქართველოს მთების ალბურ და ყველაზე მეტად სუბალპურ სარტყელში. ყვავილობს ივლისსა და აგვისტოში. შხამიანი მრავალწლიანი ბალახია, ივითარებს მრგვალ, მსხვილ და სწორ ღეროს, დაახლოებით 60-150 სმ სიმაღლისას. ფესვურა მოკლეა, მსხვილი, უამრავი ძაფისებური ფესვი აქვს და ნივრისმაგვარი სუნი ახასიათებს. ფოთლები დიდი ზომისაა, რომლებიც ღეროზე მორიგეობით არიან განწყობილი, მისი ფესვურები შეიცავს ნივთიერება ვერატრინს, რომელიც ვეტერინარიაში გამოყენებულია როგორც ჭიის დამდენი საშუალება, ხოლო გარედან პარაზიტების მოსასპობად იხმარება. ხმარობენ აგრეთვე ადამიანის ქავანას წინააღმდეგ. მისი ფესვურების შეგროვება შეიძლება როგორც ადრე გაზაფხულზე, ისე გვიან შემოდგომაზე. მას რეცხავენ, სხვენზე აშრობენ და მზა მასალას აუთიაქს აბარებენ.

ზურაბ შენგელია

შ ი ნ ა ა რ ს ი

ვისწავლოთ და ვიშრომოთ ილიჩისებურად (წერილი)	83-	მ. სერვანჯი — რა ენაზე საბჭოთა სკოლაში (წერილი)	83- 24
მ. კახიძე — გაზაფხული (ლექსი)	4	გამოცდებისათვის მზადების დღეებში (წერილი)	25
ა. უჩაძე — პასუხი (ლექსი)	4	ა. ჯანაშვილი — ფრინველების მიმოფრენა (წერილი)	27
დ. იოვანავილი — მეგობრობამ დააჩქარა (ნარკვევი)	5	შინაარსიანად გავატაროთ ზაფხული (წერილი)	29
ბ. შამანაძე — საქართველო (ლექსი)	7	ზ. შენგელია — სამკურნალო მცენარეები (წერილი)	30
ა. ონელი — მასწავლებელი (ლექსი)	8	ჩვენი კალენდარი გარეკანის მე-3 გარეკანის პირველ გვერდზე ნახატი — „გამოცდების წინ“ — შესრულებულია მხატვარ ა. ბანძელაძის მიერ.	
ქ. კასრაძე — რაშიდის ბედი (მოთხრობა)	9	გარეკანის მეოთხე გვერდზე ფოტოგრაფიული ვ. ჩერ- კასოვისა: სიღნაღის ქალთა საშუალო სკოლის მოსწავ- ლეთა ჯგუფი, სკოლის დირექტორის ნ. ვარაზაშვილის ხელმძღვანელობით, ათვალიერებენ სიღნაღის უძველეს- სი ციხე-სიმაგრის ნანგრევებს.	
ვ. გორგანელი — ავტატორი (ლექსი)	10		
ვ. ნაჭყებია — დედა-მოკა (თქმულება)	11		
დ. მგელაძე — შევისწავლოთ დიდი რუსი ხალ- ხის ენა (წერილი)	14		
საყურადღებო გამოფენა	16-17		
ბ. შატბერაშვილი — მტკვრის სათავისაკენ (მოთ- ხრობა. დასასრული)	13		

ტრადიტორი ბ. კ ა ზ ა ნ ი ძ ე. საბჭოელო ვოლუგია: მ. აბლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. ვარ-
დიანიშვილი, ბ. თაბუნიშვილი, მარიჯანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელია.
პასუხისმგებელი მდივანი მ. თორღუბა. სამხატვრო ტრადიტორი ბ. ფოცხნიშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

უფ 02805 ტირაჟი 7500 გამომცემლობის შეკვ. № 127 სტამბის შეკვ. № 466
ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14
ქუჩის გასასვლელზე დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოესეტ-მანქანაზე.



ჩვენი კალენდარი



ერნსტ ტელმანი

1888 წლის 16 აპრილს ჰამბურგელი (გერმანია) პროლეტარის ოჯახში დაიბადა ერნსტ ტელმანი — გერმანიის მუშათა კლასის მომავალი ბელადი.

ერნსტ ტელმანი ქაბუჯობიდანვე მთელი არსებით ებმება რევოლუციურ მუშაობაში, 16 წლისა შუადის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, ხელმძღვანელობს ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ახალგაზრდობის სექციას, თავიდანვე მტკიცედ დგება მარქსიზმის პოზიციაზე, ებრძვის მუშათა კლასის ყველა ფურის მტრებს, პროლეტარიატის ინტერესების გამყიდველებს. ერნსტ ტელმანი ჰამბურგის მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობას უდგება სათავეში, ხოლო შემდეგ მთელი გერმანიის პროლეტარიატისა და კომუნისტური პარტიის ბელადი ხდება. იგი იყო ლენინისა და სტალინის დიადი იდეების გამტარებელი გერმანიის მუშათა კლასში.

ფაშისტები ყოველთვის ცდილობდნენ ფიზიკურად მაინც ჩამოეშორებინათ ტელმანი მუშათა კლასისათვის, იზოლირებული ჰყოლოდათ იგი. და აი, 1933 წლის 3 მარტს ფაშისტმა ჯალათებმა დააპატიმრეს იგი და ციხეში ჩამაწყვდიეს. ფაშისტები, ეს საშუალო საუკუნოების ინკვიზიტორები, აწამებდნენ ციხეში ტელმანს და ნელ სიკვდილს უმზადებდნენ. მაგრამ ციხიდანაც მოის-

მოდა ტელმანის მგზნებარე ხმა და გერმანიის მშრომლებს რაზმავდა საბრძოლველად. მთელი მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა თანაუგრძნობდა ტელმანს, მოითხოვდა მის განთავისუფლებას.

ფაშისტმა ჯალათებმა მაინც აისრულეს საწადელი — 1944 წელს მოკლეს ერნსტ ტელმანი. სულ რამდენიმე თვით ვერ შეესწრო ტელმანი გერმანიის ფაშისტების დამარცხებას. ტელმანი მოკლეს, მაგრამ იმარჯვებს იღვას რომელსაც მან თავი შესწირა. მის თანამებრძოლ კომუნისტებს — გერმანიის მუშათა კლასის ერთგულ შვილებს — დღეს სოციალიზმის გზით მიჰყავთ გერმანიის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა.

დავით კლდიაშვილი

ამ დიდებულ მწერალს არ დაუწერია ისეთი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც ხალხის საკუთრება არ გამხდარიყო, მკითხველს სიყვარულით არ მიეღო. რომელ მის მოთხოვნიან ან პიესას მოვიგონებთ, რომელიც გულთან ახლოს არ იდგეს, ღრმად არ გვაფიქრებდეს, როგორც სარკეში, იმდროინდელ ცხოვრებას არ გვიჩვენებდეს.

მკითხველისათვის ნაცნობია მის გმირთა მთელი გალერეა. როგორც ცოცხალი ადამიანები, შენ თვალწინ მოქმედებენ და გესაუბრებიან გმირები „შერისხვიდან“ თუ „მსხვერპლიდან“, „სამანიშვილის დედინაცვლიდან“ თუ „ქამუშაძის გაქირვებიდან“, „ბაკულას ღორებიდან“ თუ „სოლომან მორბელებიდან“, „ირინეს ბედნიერებიდან“ თუ „დარისპანის გასაქირიდან“.

დ. კლდიაშვილმა განსაცვიფრებელი მხატვრული ძალით და სიმართლით დაგვიხატა გადაშენების გზაზე დამდგარი იმერელი აზნაურების ყოფაცხოვრება. კამიტალიზმის შემოქრამ და მისმა განვითარებამ, სოფლად მომხდარმა ცვლილებებმა, გლეხობის ფენებად დაყოფამ და ფულის გაბატონებამ საფუძველი გამოაცალა იმერეთის აზნაურთა უღარდელ, ფუქსავა-

ტურ ცხოვრებას. ისინი უკანასკნელად ებლაუტებოდნენ თავმანუშობას, არ თმობდნენ ნაურულ ამპარტავნობას, ზოგი ეძებდა უმსგავს საარსებო წყაროს და სასაცილო მდგომარეობაში ვარდებოდა. ვინ სასიძო-სასპატარძლოთა შორის მამულობით (სოლომან მორბელები) ცდილობს რაიმე გამოჩენის მიღებას, ზოგი არავითარ ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ ქონების მოზიარე არ გამოუჩნდეს (პლატონ სამანიშვილი), ზოგიც ქალაქში დასახლებით (ქამუშაძე) ცდილობს გაექცეს სოფლის სიღუბს, ზოგი, როგორც ქართული ანდაზა ამბობს „წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო“, შვილს ანათვლინებს შეძლებულ გლეხს, რომ იქნებ ფულიანმა მოყვარემ ხელი მოუშარათოს. და ვინ იცის კიდევ ვინ რა წყაროს არ ეძებს არსებობისა-



თვის! მაგრამ ყველაფერი ამოა! აზნაურთა წოდება დასაშლელადაა განწირული, იგი მიდის ცხოვრების ასპარეზიდან და მის ნაცვლად ზოდის ახალი.

აი ამ უსახსრო შემოდგომის აზნაურების ტრაგიკომიკური მდგომარეობა, იმდროინდელი სოფლის სიღუბსიერე კეთილშობილური, ცრემლნარევი იუმორით დაგვიხატა დ. კლდიაშვილმა თავის უკვდავ ნაწარმოებებში.

20 წლის წინათ, 1931 წლის 24 აპრილს, თავის სამშობლო სოფელ სიმონეთში (ქუთაისის ახლოს) გარდაიცვალა 68 წლის დავით კლდიაშვილი. ის დაკრძალულია თბილისში, ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში.



553/91



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ
ՆԱԽԱՐԱՅՈՒԹՅԱՆ
ՊԱՏՄԱՆԱԳՐԱԿԱՆ
ՊԵՏԱԿԱՆ

